ჟურნალისტიკის სახელმძღვანელო

მულტიკულტურული საკითხების გაშუქების საფუძვლები

www.idem-institute.org
fnfsc.fnst.org
FNFSC

პანდელი პანი

ულრიკე ფიშერ-ბუტმალოიუს
თანაავტოროობით

მულტიკულტურული საკითხების გაშუქების საფუძვლები

ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისთვის

Friedrich Naumann STIFTUNG FÜR DIE FREIHEIT

Freiheit.org
fnfsc.fnst.org

ISBN 978-9941-27-630-9

© Friedrich Naumann Stiftung für die Freiheit

სარჩევი

შესავალი.....11

ჟურნალისტიკა – ორლესული მახვილი.....12

ადამიანის უფლებები და განხვავებულობა,
როგორც საინფორმაციო რეპორტაჟის თემა.....15

რა არის განსხვავებულობა? 19

რა არის სტერეოტიპები?.....21

საზოგადოებრივი მრავალფეროვნების შესახებ რეპორტაჟთან
დაკავშირებული ზოგადი რჩევები 25

ინფორმაციის მოპოვება და წყაროებთან მუშაობა.....33

რჩევები სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელთათვის
ინტერვიუს ჩამორთმევასთან დაკავშირებით 39

დეტალური რეპორტაჟისა და ახალი ამბების ანალიზი.....43

რეკომენდაციები ეთნიკური უმცირესობების თემაზე
მომზადებულ რეპორტაჟებთან დაკავშირებით 48

რეკომენდაციები ასაკოვანი ადამიანების თემაზე
მომზადებულ რეპორტაჟებთან დაკავშირებით 55

ძირითადი რეკომენდაციები მედიისათვის საზოგადოებაში
მრავალფეროვნების გასავითარებლად 58

იმ აუცილებელი შეკითხვების სია, რომლებიც ჟურნალისტს
უნდა ახსოვდეს საზოგადოებრივი მრავალფეროვნების
თემაზე რეპორტაჟის მომზადებისას.....60

„ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისათვის“ მსოფლიოს 60-ზე მეტ ქვეყანაში იცავს ლიბერალურ ფასეულობებს, როგორიცაა: ადამიანის უფლებები, ღია საზოგადოება, განათლება, სოციალური საბაზრო ეკონომიკა, პასუხისმგებლობა და ინდივიდუალური თავისუფლება.

ამ საქმიანობის ფარგლებში 2016 წელს ფრიდრიხ ნაუმანის ფონდმა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მხარდაჭერით დემოკრატიის, მედიისა და კულტურული ურთიერთგაცვლის ინსტიტუტსა და ადგილობრივ პარტნიორებთან თანამშრომლობით წამოიწყო სამწლიანი საგანმანათლებლო პროექტი სამხრეთკავკასიელი ჟურნალისტებისათვის.

სამ თხუთმეტკაციან ჯგუფში სხვადასხვა ასაკისა და პროფესიული გამოცდილების მქონე ჟურნალისტებმა სომხეთიდან, აზერბაიჯანიდან და საქართველოდან მიიღეს მაღალი დონის ტრენინგები და პრაქტიკული გამოცდილება ეკონომიკის, კულტურული ფასეულობებისა და კონფლიქტების თემებზე ობიექტური ჟურნალისტური საქმიანობის შესახებ.

ამ საგანმანათლებლო პროექტის მიზანია – წვლილი შეიტანოს მიუკერძოებელი ჟურნალისტიკის განვითარებაში და რეგიონალური მედიის წარმომადგენლებს შორის კავშირები დაამყაროს.

სამხრეთკავკასიის რეგიონის ჟურნალისტებისა და საერთაშორისო და ადგილობრივი ექსპერტების ამ თეორიული და პრაქტიკული თანამშრომლობის შედეგად მომზადდა სამი სახელმძღვანელო ობიექტური ჟურნალისტიკის თემაზე სამ კონკრეტულ სფეროში: ეკონომიკა, კულტურული ფასეულობები და კონფლიქტები.

პეტერ-ანდრეას ბოხმანი

ფრიდრიხ ნაუმანის ფონდ თავისუფლებისათვის
სამხრეთ კავკასიის პროექტის ხელმძღვანელი

ავტორის შესახებ

დოქტორი პანდელი პანი 25 წელიწადია მუშაობს ჟურნალისტად, კონსულტანტად და ატარება ტრენინგებს. მან მოამზადა და ჩაატარა ჟურნალისტების არაერთი გადამზადების ტრენინგი უკრაინაში, ბალკანეთის, დსთ-ს და ცენტრალური აზიის ქვეყნებში. როგორც კონსულტანტი, ის მეტწილად დაკავებულია სახელმწიფო რადიომაუწყებლობის საზოგადოებრივ რადიოდ გარდასახვისა (აღმოსავლეთი ევროპა, უკრაინა) და საკრებულოების რადიოს (Community Radios) ჩამოყალიბების (სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპა, მიანმა) პრობლემატიკით. მოწვეული პედაგოგის სტატუსით მოღვაწეობდა ბერლინის თავისუფალ უნივერსიტეტში, ბონისა და იენის უნივერსიტეტებში, ასევე ტირანას უნივერსიტეტში, კირილესა და მეთოდეს სახელობის უნივერსიტეტში (ბულგარეთი) და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

თანაავტორის შესახებ

დოქტორი ულრიკე ფიშერ-ბუტმალოიუ არის ჟურნალისტი, ტრენინგების წამყვანი და დოცენტი. ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის ჟურნალისტთა საერთაშორისო კოლეგიაში უძღვებოდა გადამზადების ტრენინგებს, რომლებშიც მონაწილეობდნენ ჟურნალისტები ევროპის ყველა ქვეყნიდან, დსთ-დან და აშშ-დან. ტრენინგებისა და ლექცია-სემინარების ჩასატარებლად მიწვეული იყო ეგვიპტეში, პალესტინაში, განაში, კამბოჯაში, ცენტრალურ აზიაში, ბალკანეთისა და კავკასიის ქვეყნებში, მიჰყავდა მედია-კულტურის (Media Literacy), პოლიტიკური კომუნიკაციის, ჟურნალისტური პრაქტიკის კურსები. მისი სადოქტორო ნაშრომის თემაა რუსული მედია კრიზისულ სიტუაციებში.

თავისუფალი და დამოუკიდებელი მედია მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყანაში დემოკრატიული კულტურის შესანარჩუნებლად. მას წვლილი შეაქვს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში და, ამგვარად, ცენტრალურ საზოგადოებრივ ამოცანას ასრულებს. ამ ფუნქციის ღირსეულად შესრულება რომ შეძლონ, ჟურნალისტებს განსაკუთრებული პრივილეგიები და კვლევის შესაძლებლობები ეძლევათ. თუმცა ეს მათ აუდიტორიისა და ზოგადად საზოგადოების წინაშე მნიშვნელოვან პასუხისმგებლობასაც აკისრებთ. ეს პასუხისმგებლობაა არამხოლოდ *რეპორტაჟის მსვლელობისას სიფრთხილის მოვალეობა*, როდესაც საქმე დელიკატურ თემებს ეხება, როგორიცაა, მაგალითად, კონფლიქტი ანდა კაპიტალის ბაზრებისა თუ ფინანსური პროდუქტების შესახებ ინფორმაცია, არამედ იმის *აუცილებლობაც*, რომ ჟურნალისტებმა მუდმივად განაგრძონ პროფესიული დონის ამაღლება.

საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში ჩვეულებრივი ჟურნალისტური განათლება ზოგადი მიმართულების ჟურნელისტების აღზრდისკენაა მიმართული, ვინც „ყველაფერზე“ წერს. პროფესიული მომზადების ფართო სპექტრი საშუალებას აძლევთ, სხვადასხვა თემაზე წერონ. მაგრამ, რადგან მათი განათლება, პირველ ყოვლისა, დღის აქტუალური თემების დამუშავებაზე და სიღრმის ნაცვლად სიფართოვეზეა გათვლილი, ამიტომაც მათ პროფესიულ საზღვრებს მათივე ზოგადი განათლება განსაზღვრავს, ხოლო ახალი თემების შესასწავლად და ცოდნის გასაღრმავებლად დრო აღარ რჩებათ; იმავე პრობლემას აწყდებიან მაშინ, როდესაც კონფლიქტების, კრიზისებისა თუ კატასტროფების შესახებ უწევთ რეპორტაჟის მომზადება.

ფინანსებისა და ბიზნესის შესახებ რეპორტაჟის, საზოგადოებაში „განსხვავებულობასთან“/„მრავალფეროვნებასთან“ (“Diversity”) მიმართებისა და, ასევე, კონფლიქტებისადმი ფაქიზი ჟურნალისტიკის თემებზე ჩატარებული ტრენინგებით ფრიდრიხ ნაუმანის ფონდი თავისუფლებისათვის ეხმაურება არამხოლოდ სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში ამ თემებთან დაკავშირებით შექმნილ მოთხოვნილებას, არამედ ზოგადად მსოფლიოში ჟურნალისტების მიმართ მოთხოვნების ზრდასაც, რადგან ჟურნალისტებს დღითი დღე სულ უფრო მეტი პროფესიული და სოციალური უნარები მოეთხოვებათ.

როგორ უნდა წერონ ჟურნალისტებმა ფინანსურ თემებზე ისე, რომ მათი რეპორტაჟი საინტერესო, ცოცხალი და მკითხველისათვის გასაგები გამოვიდეს? როგორ მოიძიონ ინფორმაცია ფინანსური და ბიზნეს-ორგანიზაციების შესახებ? როგორ შეინარჩუნონ ობიექტურობა კრიზისების, კონფლიქტებისა და ომების შესახებ წერისას? რა კრიტერიუმებით იზომება ჟურნალისტური კვალიფიკაცია კრიზისულ ეპოქებში? რამდენად დიდ გავლენას ახდენს სტერეოტიპები და ცრურწმენა შესაბამისი ქვეყნების მედიაზე? როგორი შეიძლება იყოს დისკრიმინაციისაგან თავისუფალი რეპორტაჟი? – ეს, ზოგიერთი ის საკითხი თუ თემაა, რომლებიც ვორქშოპებზე განიხილეს. თეორიული ცოდნა პრაქტიკული ჟურნალისტური სამუშაოთი შეავსეს. ვორქშოპის ფარგლებში მონაწილეები სამ ჯგუფად დაიყვნენ და ერთობლივ პროექტებზე იმუშავეს, გამოკითხვები და ინტერვიუები აწარმოეს, მიღებული ინფორმაცია გააღრმავეს და აქცენტები გამოყვეს. შემდეგ მომზადებული პროექტების საერთო განხილვა მოხდა და მონაწილეებს მიეცათ საშუალება, თავიანთ სამუშაოზე ესაუბრათ, პირველ ყოვლისა კი, ჟურნალისტური ეთიკის პრობლემები განეხილათ.

საერთაშორისო ჯგუფებში მუშაობისას მონაწილეებს საშუალება მიეცათ, ურთიერთგადამკვეთი თემები განეხილათ და პროფესიული არეალი გაეფართოებინათ, ამასთან ისეთი

დაქსელილი კონტაქტები დაემყარებინათ, სამომავლო მუშაობაში რომ დაეხმარებათ. დამატებითი კომპეტენციის განვითარებით ვორქშოპების მონაწილეთათვის ახალი პროფილების შეძენის შესაძლებლობებიც ჩნდება, რაც მათთვის საკუთარი საბაზრო ფასის ამაღლების საწინდარიცაა. მონაწილეთა დიდი ინტერესი, ის ცოცხალი დისკუსიები, რომლებიც ვორქშოპების მსვლელობისას და მათ შემდგომაც გაიმართა, და ერთობლივად მომზადებული პროექტები აშკარად ცხადყოფს იმას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია გადამზადების ამგვარი ღონისძიებები ჟურნალისტური პროფესიონალიზმის ამაღლებისათვის.

დაბოლოს, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია: ერთმანეთთან შეხვედრის, ერთურთის უკეთ გაცნობისა და ერთობლივი მუშაობის შესაძლებლობამ სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელი ჟურნალისტები მრავალი ცრურწმენისა თუ სტერეოტიპისაგან გაათავისუფლა. ყველა მონაწილეს იმედი აქვს, რომ მომავალში შეძლებენ არამხოლოდ საკუთარი რეპორტაჟებით თავიანთი აუდიტორიის უკეთ ინფორმირებას, არამედ ხალხთა შორის ურთიერთგაგებაში წვლილის შეტანასაც.

პანდელი პანი
ნოემბერი, 2017

შესავალი

ხშირად ვსაუბრობთ ევროპული ფასეულობების მნიშვნელობაზე. და რაც უფრო ფართოვდება ევროკავშირი, მით უფრო მნიშვნელოვანია, მასში მცხოვრებმა ადამიანებმა გააცნობიერონ, რომ მათი კავშირი საერთო ფასეულობებზეა დამყარებული. მაგრამ რას წარმოადგენს ევროპული ფასეულობები?

ადამიანური ღირსება, თავისუფლება, დემოკრატია, თანასწორობა, ადამიანის უფლებების, მათ შორის, უმცირესობათა უფლებების დაცვისა და პატივისცემის წესები – ეს ფასეულობები ევროკავშირის დებულებებშია მოცემული.

ევროპულ ფასეულობებზე საუბრისას ჟურნალისტთა უმრავლესობა ადამიანის უფლებებს გულისხმობს. ადამიანის უფლებები კი მჭიდროდ უკავშირდება სამართლის, ზნეობის, პოლიტიკური ფილოსოფიის საკითხებს, მათთან დაკავშირებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებს.

ჟურნალისტიკა – ორლესული მახვილი

ჟურნალისტიკა და ადამიანის უფლებები ერთმანეთს მრავალ წერტილში კვეთს. ერთი მხრივ, შეიძლება ჟურნალისტიკა თვითონაც განვიხილოთ, როგორც ადამიანის უფლება – ინფორმაციის მიღებისა და გაზიარების უფლება, ხოლო მეორე მხრივ, ადამიანის უფლებების დაცვა და ხელშეწყობა შეუძლებელია მედიისა და ჟურნალისტიკის გარეშე. მედია – რადიო, ტელევიზია, ჟურნალ-გაზეთები და ინტერნეტი – ცენტრალურ და გადამწყვეტ როლს თამაშობს ადამიანის უფლებების პრობლემატიკის გაშუქებასა და გადაჭრაში. მედიას აგრეთვე არსებითი ადგილი უკავია საზოგადოების სხვადასხვა ნაწილის ერთმანეთთან დაკავშირებასა და მათ შორის ურთიერთგაგების გაუმჯობესებაში.

ასე თუ ისე, ჟურნალისტიკა ორლესული მახვილია. ერთი მხრივ, ჟურნალისტიკა მუშაობს რეალურ ფაქტებთან, იმასთან, რაც კონკრეტულ დროს, კონკრეტულ ადგილას მოხდა, მაგრამ ჟურნალისტიკა (სარედაქციო წერილები, Opposite editorial-ი (მოწინავე სტატიების საპირისპირო სტატია გაზეთის ან ჟურნალის პირველ გვერდზე) და სვეტები) აგრეთვე საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებასაც უზრუნველყოფს და ამ თვალსაზრისით მისი ფუნქცია უბრალო რეპორტაჟზე ბევრად უფრო ფართოა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჟურნალისტები უმეტესწილად მოვლენათა დამკვირვებლების როლში გამოდიან, თუმცა მათ ხშირად შეუძლიათ (საკუთარი აზრის მქონე, ძლიერი) მონაწილენიც გახდნენ.

რკინის ფარდის დამხობის შემდეგ ჰუმანურობის არაერთმა კრიზისმა და მრავალმა სისხლიანმა დაპირისპირებამ არა მხოლოდ ადამიანების სიცოცხლე და დიდი ხნის წინათ ნაშენები საზოგადოებრივი წესრიგი შეიწირა, არამედ ასევე ცხადად გვიჩვენა, თუ რამხელა წვლილის შეტანა შეუძლია მედიას საზოგადოების ჯგუფების დაპირისპირებასა და განხეთქილე-

ბის შექმნაში წარსულის აჩრდილების გამოღვიძებით, შიშისა და ცრურწმენების გაღვივებით, ეთნიკური კონფლიქტების გამძაფრებით. ამგვარად, თუკი მედია და ჟურნალისტიკა, კულტურათშორისი ურთიერთგაგებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების ნაცვლად, ტყუილის, სიძულვილისა და შეუწყნარებლობის წყაროდ გადაიქცევა, ისინი ადამიანის უფლებათა შებღალვის ინსტრუმენტებად უნდა მივიჩნიოთ.

ცრურწმენები და სხვა -იზმები

ადამიანთა უმრავლესობა მისგან განსხვავებული ეთნიკური ჯგუფებების თუ რასების წარმომადგენლებთან მიმართებით ცრურწმენას[1], სიძულვილსა და შეუწყნარებლობას გამოხატავს. თუმცა რასიზმის გარდა არსებობს ბევრი სხვა „-იზმი“, მაგალითად: სექსიზმი, კლასიზმი[2], ანტისემიტიზმი, ეიჯიზმი[3], ეიბლიზმი[4] და მიუღებლობის სხვა ფორმები, რომლებიც ეგრეთ წოდებული „სხვების“ თუ „აუტსაიდერების“, ანუ მათ წინააღ-

---

1 ცრურწმენაში აქ ვგულისხმობთ უარყოფით აზრს ან განწყობას, რომელიც წინაწარ, დაუფიქრებლად, ცოდნისა თუ რაიმე მიზეზის გარეშე ჩამოყალიბდა; ნებისმიერი წინასწარ აკვიატებული აზრი თუ განცდა – დადებითი თუ უარყოფითი; ირაციონალური აზრები, გრძნობები თუ განწყობები, მეტწილად – მტრული ხასიათისა;

2 კლასიზმი გულისხმობს წინასწარ შექმნილ გაწყობა-დამოკიდებულებას იმ პირთაგან შექმნილი ჯგუფის მიმართ, ვისაც „მსგავსი სოციალური პოზიცია და განსაზღვრული ეკონომიკური, პოლიტიკური თუ კულტურული მახასიათებლები აერთიანებთ“.

3 ეიჯიზმი გულისხმობს ცრურწმენასა თუ დისკრიმინაციას, რომელიც ამა თუ იმ ასაკობრივი კატეგორიისადმი, განსაკუთრებით, ხანდაზმული პირებისადმია მიმართული.

4 ეიბლიზმი გულისხმობს იმ პირთა დისკრიმინაციას, ვისაც გონებრივი ან ფიზიკური გამოწვევები აქვთ.

მდეგაა მიმართული, ვისაც ჩვენს სოციალურ თუ ეთნიკურ ჯგუფს არ მივაკუთვნებთ.

ცრურწმენას ან წინასწარ განწყობას ხშირად დისკრიმინაციამდე მივყავართ. მაგალითად, ადამიანები შეიძლება გახდნენ დისკრიმინაციის მსხვერპლნი თავიანთი ეთნიკური კუთვნილების, წარმომავლობის, რასის, რელიგიის, ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების, პოლიტიკური მრწამსის, სქესის თუ გენდერის, სექსუალური ორიენტაციის, ენის, კულტურისა და სხვა ნიშნების გამო.

ეს პრაქტიკული სახელმძღვანელო მოქმედი ჟურნალისტებისთვისაა შექმნილი და დაეხმარება მათ, სამართლიანად და კორექტულად მიაწოდონ ინფორმაცია საზოგადოებას „განსხვავებული“ ჯგუფებისა და სოციალური მრავალფეროვნების შესახებ; ასევე გაუღრმავებთ იმის რწმენას, რომ სიტყვასა და გამოსახულებას საზოგადოებაზე განსაკუთრებული ზეგავლენა აქვს და ხელს შეუწყობთ, არ გაებან შეურაცხმყოფელი ლექსიკისა და არაადეკვატური ემოციების მახეში.

ადამიანის უფლებები და მრავალფეროვნება, როგორც საინფორმაციო რეპორტაჟის თემა

ევროპა სახეს იცვლის და ამ ცვლილებებისადმი ჟურნალისტების დამოკიდებულება, ისევე როგორც საზოგადოებრივი მრავალფეროვნების განვითარება, დღეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად იქცა. დღესდღეობით ჟურნალისტები ადამიანთა უფლებების დაცვის არეალს იმით აფართოებენ, რომ საზოგადოებას ახალ ჯგუფებს აცნობენ და ადამიანებს განსხვავებულობისადმი პატივისცემას უნერგავენ, იქნება ეს ეთნიკური, რელიგიური, სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული თუ სხვა რაიმე ნიშნით განსხვავებულობა. მიუხედავად იმისა, რომ ამ მხრივ დიდი წინსვლა შეინიშნება, დღესაც ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე შეიძლება აღმოვაჩინოთ ეთნიკური სტერეოტიპებისა თუ ცრურწმენების, შეურაცხმყოფელი ლექსიკისა თუ ფაქტების ცალმხრივი გაშუქების მაგალითები. საუბედუროდ, მედია დღესაც გარკვეულწილად იზიარებს იმ აზრს, რომ მრავალფეროვნება ცუდია, რომ ესა თუ ის უმცირესობები საფრთხეს უქმნიან ერს და სხვებთან თანასწორ უფლებებსა და მოპყრობას არ იმსახურებენ. სინამდვილეში კი საქმე სრულიად საპირისპიროდაა: რელიგიაზე, გენდერზე, სოციალურ სტატუსზე, ასაკზე, ფიზიკურ თუ მენტალურ უნარშეზღუდულობაზე, სექსუალურ ორიენტაციაზე დამყარებული დისკრიმინაცია და შეუწყნარებლობა საფრთხეს უქმნის ქვეყნისა თუ რეგიონის სტაბილურობას და ექსტრემიზმის მთესველებს ნაყოფიერ ნიადაგს უმზადებს.

უდიდესი გამოწვევა, რის წინაშეც ჟურნალისტები მუშაობის პროცესში დგანან, იმ ადამიანების შესახებ წერაა, რომლებიც მათგან საფუძვლიანად განსხვავდებიან. როცა ინფორმაცია ეხება განსხვავებული ეთნოსის, რწმენის, სექსუალური ორიენტაციის, სოციალური თუ ეკონომიკური კლასის წარმომადგენლებს, ჟურნალისტის მოვალეობაა, ზედმიწევნით გადმოგვცეს

ამ პიროვნების ხედვა, იდეები თუ მსოფლმხედველობა, მაშინაც კი, როდესაც განსხვავება ძალზე დიდია.

მკითხველთა/მაყურებლთა/მსმენელთა უმრავლესობას სოციალური უმცირესობების შესახებ მწირი ინფორმაცია გააჩნია, მხოლოდ მათ მცირე ნაწილს აქვს უშუალო შეხება განსხვავებული ეთნიკური, რელიგიური თუ სექსუალური ორიენტაციის ჯგუფების წარმომადგენლებთან. მსგავს შემთხვევაში აუდიტორია მთლიანად იმ ინფორმაციაზეა დამოკიდებული, რომელსაც მედია მიაწვდის. ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მედია გვკარნახობს, როგორ ვიაზროვნოთ: ადამიანები მის გზავნილებს უპირობოდ როდი იღებენ. მაგრამ მისი მოვალეობაა დღის წესრიგის შექმნა და საზოგადოების ყურაღების მიპყრობა მნიშვნელოვან მომენტებზე, რაც ხელს უწყობს კამათისა და გაუგებრობის ალბათობის შემცირებას. ამ თვალსაზრისით, ჟურნალიტიკას მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის ეთნიკური, რელიგიური თუ სექსუალური უმცირესობების შესახებ სტერეოტიპების რღვევასა და დეზინფორმაციის აღკვეთაში, ინფორმაციის პროფესიონალური მიწოდებითა და კომპეტენტური აზრის გამოთქმით უნდა აღწევდეს; ამით საშუალებას მისცემს მსმენელს, მკითხველსა თუ მაყურებელს, მოცემულ საკითხზე საკუთარი აზრი ჩამოიყალიბოს და დამატებითი ინფორმაცია მოიძიოს.

სიმართლის ზუსტი, სამართლიანი, გულწრფელი და თანამგრძნობი გაშუქება – აი, რას ენიჭება გადამწყვეტი მნიშვნელობა საზოგადოებრივი მრავალფეროვნების, უმცირესობათა ჯგუფებისა და ადამიანის უფლებების დაცვის ხელშეწყობაში და, აგრეთვე, ცრურწმენებსა და რადიკალურ პოლიტიკურ მსჯელობასთან ბრძოლაში. გულახდილად რომ ვთქვათ, არ არსებობს სრულიად ერთგვაროვანი საზოგადოება და დემოკრატიისაკენ სვლა ყოვლად შეუძლებელია ამ ფაქტის აღიარებისა და განსხვავებულობისადმი პატივისცემის გარეშე. ამგვარად, მედიის საშუალებით საზოგადოების ყველა წევრის პრობლემე-

ბისა და მოთხოვნილებების გაშუქება და ყველას სათქმელის გაჟღერება მხოლოდ სამართლიანობისა და დიდსულოვნების გამოხატვას კი არ ნიშნავს, არამედ აგრეთვე თითოეული პირისათვის მოქალაქეობის ყველა უპირატესობისა და პასუხისმგებლობლობის მინიჭებასაც.

მრავალფეროვნების გაშუქება საზოგადოებაში მომხდარი მოვლენებით არ შემოიფარგლება. გლობალიზაციამ და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეთა ურთიერთობების გაფართოებამ მრავალფეროვნების გაშუქებას ახალი, სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა. შეიძლება, ერთ ქვეყანაში მომხდარმა მოვლენებმა სხვა ქვეყანასა თუ ერზე სერიოზული გავლენა მოახდინოს. ამგვარად, სავსებით შესაძლებელია, ერთი ქვეყნის პრობლემა მეზობელ რეგიონსა თუ ქვეყანაშიც პრობლემად იქცეს.

წინსვლა განსხვავებულობის გზით

საზოგადოებაში მრავალფეროვნებისათვის მხარდაჭერის გაწევით ჩვენ ვაღრმავებთ რასობრივ თუ ეროვნულ წარმომავლობაზე, სქესზე, სექსუალურ ორიენტაციასა და იმ სხვა ფაქტორებზე დამყარებული განსხვავებულობისადმი პატივისცემას, რომლებიც პიროვნებებს ერთმანეთისგან განასხვავებს. ნაცვლად იმისა, რომ ადამიანებს განსხვავებული ხედვებისა და მოსაზრებების წინაშე შიში და უარყოფითი განწყობა ჩავუნერგოთ, მათ უნდა დავანახვოთ, რომ საზოგადოებაში, სადაც ისინი ცხოვრობენ და მოქმედებენ, მრავალფეროვანი ინტერესები, ფასეულობები, ფიზიკური თუ ემოციური მახასიათებლები არსებობს.

მრავალფეროვნების მხარდაჭერა და პატივისცემა დისკრიმინაციის აღკვეთისა და ყველასათვის მსგავსი შესაძლებლობების მინიჭების საშუალებას იძლევა.

რა ნიშნებით ხასიათდება საზოგადოებაში მრავალფეროვნების მხარდაჭერა და განვითარება?

- *მისი მეშვეობით ადამიანები აცნობიერებენ ჭეშმარიტებას, რომ ყოველი ჩვენგანი სხვებისაგან ბევრი რამით განსხვავდება.*
- *ის ხელს უწყობს მრავალფეროვნების შედეგებს.*
- *ის გვთავაზობს ანდა ახორციელებს მიდგომებს, რომლებსაც ეს საკითხები არსებულ ვითარებასა და ზოგადად მთელ საზოგადოებასთან თანხვედრაში მოჰყავს.*

განსხვავებულობა ისეთი ფასეულობაა, განსაკუთრებულ ყურადღებას რომ მოითხოვს, პირველ ყოვლისა, მედიის მხრიდან. აუცილებელია გავაცნობიეროთ, რომ კვალიფიციური ჟურნალისტიკა მის გარეშე წარმოუდგენელია. ორმხრივი ურთიერთგაგების მისაღწევად ძალზე მნიშვნელოვანია კორექტული, ზუსტი, კვალიფიციური რეპორტაჟის მომზადება. თუკი დემოკრატიული საზოგადოებისაგან ადამიანთა შორის კეთილი ურთიერთობების დამყარებას მოველით, მედიის მთავარი მისია და პასუხისმგებლობა საზოგადოების განსხვავებული ჯგუფების შესახებ ობიექტური და გულწრფელი ინფორმაციის გავრცელება გახლავთ.

რა არის განსხვავებულობა?

განსხვავებულობა სხვა არაფერია, თუ არა უმრავლესობისაგან ამა თუ იმ ნიშნით გამორჩეულობა. საზოგადოების შიგნით ადამიანები ერთმანეთისაგან მრავალი კუთხით განსხვავდებიან და არსებობს მთელი რიგი კულტურული ჯგუფები. შეიძლება თითოეულ ამ ჯგუფს არაერთი ისეთი მახასიათებელი აერთიანებდეს, რაც მას დანარჩენი საზოგადოებისაგან განასხვავებს. მათ შორისაა: კულტურა, რელიგია, ეთნოსი, ენა, ეროვნება, სექსუალური ორიენტაცია, კლასი, გენდერი, ასაკი, შეზღუდული შესაძლებლობები, ჯანმრთელობა, პოლიტიკური შეხედულებები, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, მატერიალური სტატუსი, სამუშაო გამოცდილება და უამრავი სხვა რამ.

ბევრ ჩვენგანს უცნაურ ჩვევად აქვს შემორჩენილი ის მოსაზრება, თითქოს ყველა, ვინც ჩვენს ნორმებს არ იზიარებს, მტყუანია. ამიტომაც საზოგადოებრივი მრავალფეროვნება განსაკუთრებულ ყურაღებას საჭიროებს, პირველ ყოვლისა, მედიის მხრიდან, რადგან ეს ისეთი ფასეულობაა, რომელიც დემოკრატიული საზოგადოებისაგან განსაკუთრებულ მხარდაჭერას და განვითარებას მოითხოვს.

UNESCO-ს კულტურული მრავალფეროვნების მსოფლიო დეკლარაციის მე-3 პარაგრაფში ვკითხულობთ: „კულტურული მრავალფეროვნება თითოეული პიროვნებისათვის ხელმისაწვდომი შესაძლებლობების სფეროს აფართოებს; ეს წინსვლის ერთ-ერთი საწინდარია, ამასთან, წინსვლას მხოლოდ ეკონომიკური მატების თვალსაზრისით როდი ვგულისხმობთ, არამედ ცხოვრების ინტელექტუალური, ემოციური, ზნეობრივი და სულიერი სფეროების გაუმჯობესების თვალსაზრისითაც.

მრავალფეროვნებას ხშირად აიგივებენ ინკლუზიასთან (ჩართვასთან), მაგრამ ამ ორ ცნებას შორის მცირე განსხვავება არსებობს: ინკლუზია ნიშნავს იმას, რომ ყველას შეუძლია საზოგადოებრივ პროცესებში მონაწილეობის მიღება, ხოლო

მრავალფეროვნება გულისხმობს, რომ თითოეულს შეუძლია მონაწილების მიღება თავისი საკუთარი პირობებით. ამ თვალსაზრისით მედიას ენიჭება მთავარი როლი და პასუხისმგებლობა განსხვავებული ჯგუფების ობიექტურად და პატიოსნად წარდგენაში.

რა არის სტერეოტიპები?

დიდი ხნის წინათ ჟურნალისტი უოლტერ ლიპმენი წერდა, რომ საზოგადოებრივი გრძნობები, შეხედულებები და ქმედებები „ჩვენს თავში წარმოქმნილი სურათების“ შედეგია და არა ჩვენ გარშემო არსებული სამყაროსადმი პასუხი. მართლაც, ბევრი ჩვენგანი სტერეოტიპების გამო სამყაროს ძალზე ბეცად უყურებს. სტერეოტიპები გარკვეული ჯგუფების მიმართ ჩვენი წინასწარი განწყობის საფუძველზე შექმნილ გრძნობებს თუ შეხედულებებს წარმოადგენენ. მეცნიერები ამტკიცებენ, რომ სტერეოტიპები ამა თუ იმ ჯგუფის შესახებ კატეგორიული მსჯელობის გამართლების საშუალებაცაა და, ამავდროულად, აღქმისა და აზროვნების გამარტივების საშუალებაც.

სტერეოტიპის არსებობისასთვის იჩენს ჯგუფის წევრებს („ჩვენ“) და უცხოებს („სხვებს“) შორის განსხვავება. როგორც წესი, „სხვებს“ საკუთარზე უფრო ჰომოგენურ ჯგუფად მიიჩნევენ და მათ საკუთარ ჯგუფთან შედარებით უარყოფით თვისებებს მიაწერენ. კულტურული სტერეოტიპების ფარგლებში „სხვა“, როგორც წესი, „ჩვენთან“ და „ჩვენს“ კულტურასთან მიმართებით ნეგატიურად ხასიათდება, მაშინ, როდესაც „ჩვენი“ კულტურა „ნორმალურად“, „სწორად“, „ბუნებრივად“ მიიჩნევა, თანაც გვჯერა, რომ მისი წეს-ჩვეულებები და ეთიკური ნორმები მთელ მსოფლიოში მოქმედებს.

ამა თუ იმ ქვეყნის იმიჯი ხშირად ასეთსავე პერსონიფიცირებას ექვემდებარება: შეიძლება, ქვეყანა მივიჩნიოთ მტრულად, მეგობრულად, სტუმართმოყვარედ, თბილად თუ ცივად ისე, თითქოს ცოცხალ არსებაზე იყოს ლაპარაკი, რომელსაც გრძნობები და აღქმის უნარი აქვს.

მაგალითისათვის, აზერბაიჯანულ მედიაში ხშირად გამოყენებული სტერეოტიპის თანახმად, სომხეთი მტრულ ქვეყანად

აღიქმება, სომეხი კი – მტრად.[1] ამ ვითარებას სომხურ მედიაში „სარკისებური“ ვერსია აქვს: „აზერბაიჯანი სომხეთის მოსისხლე მტერია, აზერბაიჯანელები სომხების მარადიული მტრები არიან“[2]. მეორე მხრივ, სომხური მედია ხშირად მიმართავს სტერეოტიპს, რომლის თანახმადაც, აზერბაიჯანელები გაურკვეველი ეთნიკური წარმოშობის ველურები, ბარბაროსები, თავხედი, აგრესიული და სისხლსმოწყურებული ხალხია[3]. მსგავსი სტერეოტიპი აზრებაიჯანულ მედიაში არ არსებობს, თუმცა აქ ხშირია შემთხვევები, როდესაც გაშუქებულია სომხების სისასტიკე, სიცრუე, მათ მიერ აზერბაიჯანული კულტურული მემკვიდრეობის განადგურების ფაქტები.

აზერბაიჯანული მედიის კიდევ ერთი სტერეოტიპი ისაა, თითქოს სომხებს პოლიტიკური ტერორის ტრადიცია აქვთ

---

1 მაგალითი: „მთავარმა მსაჯმა განაცხადა, რომ სულ მალე დასახელდებიან ის სპორტსმენები, რომლებიც რინგზე 54 კგ და 60 კგ წონით კატეგორიებში იასპარეზებენ, და იმასაც გაუსვა ხაზი, რომ მათ სომეხი სპორტსმენების მხრიდან საფრთხე არ ემუქრებათ: „სომხეთი ჩვენს ქვეყანაში უძლიერეს მოკრივეებს გზავნის. ასე, მაგალითად, ნარეკ აბგარიანი, რომელიც 51 კგ წონით კატეგორიაში ასპარეზობს, ევროპის ჩემპიონია. დანარჩენებსაც სხვადასხვა შეჯიბრებში აქვთ ჯილდოები მიღებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ შეგვიძლია მტრულად გამწყობილი ქვეყნის სპორტსმენების დამარცხება“. (http://epfarmenia.am/wp-content/uploads/2014/06/glossary_eng-1.pdf)..

2 „აზერბაიჯანი სომხურ მხარეს მხოლოდ ოპონენტად როდი ევლინება: ის მოსისხლე მტერია რომელიც თავის უპირველეს მიზნად მთელი სომეხი ხალხის განადგურებას ხედავს“. (http://epfarmenia.am/wp-content/uploads/2014/06/glossary_eng-1.pdf).

3 მაგალითები: „აზერბაიჯანელთა აგრესიულობამ 21-ე საუკუნეში პიკს მიაღწია; ისინი უსასტიკეს დანაშაულებს სჩადიან და საკუთარი ოჯახის წევრებსაც კი არ ინდობენ“; „ნებისმიერი აზერბაიჯანელის ზურგს უკან ჯერ კიდევ მკაფიოდ ჩანს სისხლისმსმელი კავკასიელი თათარის სახე“. (http://epfarmenia.am/wp-content/uploads/2014/06/glossary_eng-1.pdf).

დამკვიდრებული[1]. ეს სტერეოტიპი მეტწილად მინიშნებაა 1999 წლის 27 ოქტომბერს სომხეთის პარლამენტზე ტერორისტების მიერ განხორციელებულ თავდასხმასა და სომეხ ნაციონალისტთა ჯგუფების მიერ თურქ დიპლომატებსა და პოლიტიკოსებზე განხორციელებულ ზეწოლაზე. სომეხი ხალხის ამგვარი დახასიათება ცხადყოფს მისი შეურაცხყოფისა და დისკრედიტირების სურვილს. ბუნებრივია, რომ ეს საპასუხო ნეგატივს იწვევს. ასე, მაგალითად, სომხურ მედიაში გაბატონებულია სტერეოტიპი: „აზერბაიჯანი ტერორისტული სახელმწიფოა, კრიმინალური ქვეყანა, რომელიც საერთაშორისო ტერორიზმს უწყობს ხელს“.

კოლექტიური იდენტობის შესახებ წარმოდგენას იმიჯს უწოდებენ. ეს ცნება მოიცავს კოლექტივის ცალკეული წევრების, მათ შორის უმცირესობათა, ანდა რომელიმე რეგიონის თუ ეროვნების წარმომადგენელთა სავარაუდო დახასიათებას. მარტივად რომ ვთქვათ, სტერეოტიპული იმიჯი ის დახასიათებაა, რომელსაც ამა თუ იმ ჯგუფს თავს ახვევენ მისი რასობრივი, ეროვნული, სქესობრივი თუ სხვა სახის მიკუთვნებულობის გამო. შეიძლება, ამგვარი იმიჯი ამა თუ იმ ფიზიკურმა თვისებამ – კანის ფერმა, სახის ნაკვთებმა, თმის ფერმა და ვარცხნილობამ, ანდა ქცევის ტიპურმა მანერამ – განაპირობოს, ამასთან, ეს თვისებები მოცემული ჯგუფის ყველა წევრზე გადააქვთ. ეს დახასიათებები საზოგადოებრივი ჯგუფების გა-

---

[1] თუკი სომხების მიერ დამკვიდრებული პოლიტიკური ტერორის ტრადიციას გავითვალისწინებთ, მსგავს მცდელობას შეიძლება სავალალო შედეგები მოჰყვეს და სერჟ სარგსიანმა, რომელიც 1998 წლის „უსისხლო გადატრიალებისას“, რომლის დროსაც არაერთი პოლიტიკური მკვლელობა მოხდა, სომხეთის საიდუმლო სამსახურს ხელმძღვანელობდა, ეს სხვებზე უკეთ იცის. თუმცა მას ესეც ესმის: თურქეთის ღიად დადანაშაულება ერევნისთვის მეტისმეტად სარისკოა“ (http://epfarmenia.am/wp-content/uploads/2014/06/glossary_eng-1.pdf).

მარტივებულ და განზოგადებულ სახეს ქმნიან, რაშიც საკმაოდ დიდ როლს მედიაც თამაშობს.

მიუხედავად ამისა, მედიაში სტერეოტიპების არსებობა თავისთავად არ წარმოადგენს უარყოფით მოვლენას, მაგრამ გასათვალისწინებელია, თუ როგორ ხდება ამ სტერეოტიპების წარმოჩენა და გაკონტროლება სხვადასხვა გამონათქვამში, რა ფასეულობებისა და იდეების გამოხატვა ხდება მათთან ერთად, როგორია სტერეოტიპების კონტენტი, ფუნქცია და მნიშვნელობა, რადგან სტერეოტიპები ხშირად იწვევენ უმცირესობის ჯგუფების მარგინალიზაციას, სეგრეგაციასა და დისკრიმინაციას. ნებისმიერ ცრურწმენას საფუძველს უქმნის სტერეოტიპები და სტერეოტიპებზე დამყარებულმა განზოგადებებმა შესაძლებელია აღძრას ძლიერი სიძულვილი და ძალადობის აქტები უმცირესობათა ჯგუფების მიმართ.

ამგვარად, როდესაც მედია ვერ აცნობიერებს სტერეოტიპების სავარაუდო შედეგებს, ის შეიძლება იქცეს მათი გაღრმავების, ცრურწმენისა და სიძულვილის გამომხატველი ლექსიკის გავრცელების ინსტრუმენტად. ცრურწმენა რადიკალური რასიზმის, ჰომოფობიის, არასრულფასოვნებისა და აღმატებულების კომპლექსის საწინდარია. შეერთებული შტატების პენის სახელმწიფო კოლეჯის პროფესორი კომუნიკაციის დარგში ჯონ სანჩესი მიიჩნევს, რომ ცრურწმენა სიმსივნეს ჰგავს: „ცრურწმენა მსხვერპლს დაცულობის ილუზიას უქმნის და ადამიანზე სიმსივნესავით მოქმედებს“. მეორე მხრივ, კორექტული და კვალიფიციური რეპორტაჟისა და განსხვავებული ჯგუფების საზოგადოებისათვის გაცნობის მეშვეობით მედიას ამ ტენდენციებთან ბრძოლაც შეუძლია. გარდა ამისა, მედია დიდ როლს თამაშობს საზოგადოებაში აზრების გამოხატვის მანერის შეცვლაში.

საზოგადოებრივი მრავალფეროვნების შესახებ რეპორტაჟთან დაკავშირებული ზოგადი რჩევები

სიტყვების მნიშვნელობა

ქართული ანდაზა ამბობს: „ენას ძვალი არ აქვს, ძვლების მტვრევა კი შეუძლია“, ხოლო მსგავსი სომხური ანდაზა ასე ჟღერს: „ხმლით დაჭრილი შეხორცდება, ენით დაჭრილი კი – ვერა“. ამიტომაც აზრის გამოთქმისას სიფრთხილე გვმართებს. სიტყვებს დიდი ძალა აქვთ, მათ ტკივილის მიყენებაც[1] შეუძლიათ და მოშუშებაც. დაუდევრად ნათქვამ ზოგიერთ სიტყვას თუ განმარტებას მათი შეურაცხყოფა შეუძლია, ვის წინააღმდეგაც არის მიმართული, აგრეთვე შეუძლიათ საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შეყვანა, ეთნიკური და სოციალური კონფლიქტების გაღრმავება, საზოგადოებაში არეულობის ატეხა მაშინაც კი, როდესაც ეს მიზნად არ დაგვისახავს. ამდენად, სიფრთხილე ამ თვალსაზრისით მხოლოდ პოლიტიკურ კორექტულობას როდი ნიშნავს. საჭიროა გაწონასწორებული არგუმენტების მოყვანა და ისეთი სიტყვებისათვის თავის არიდება, რომლებიც პოზიტიურ ან ნეგატიურ დისკრიმინაციას შეიცავს. პროფესიული რეპორტაჟის ფარგლებში გამოიყენება **ნეიტრალური ტერმინები**, რომლებიც ვინმეს გრძნობებს არ შეურაცხყოფს.

♦ აუცილებელია ვიცოდეთ, თუ რა ტერმინით ურჩევნიათ ამა თუ იმ ჯგუფის წევრებს მოიხსენიონ იმ ენაზე, რომელზეც

---

[1] საქართველოს უშიშროების საბჭოს ყოფილი ხელმძღვანელის თვითმკვლელობა, ერთ-ერთი ვერსიის მიხედვით, გარკვეულწილად მის წინააღმდეგ მედიაში წამოწყებული კამპანიით იყო გამოწვეული, რომლის ფარგლებშიც მას ჰომოსექსუალიზმს აბრალებდნენ. იხ.: Quinn, S., Forced out: LGBT people in Georgia – a report on ILGA-Europe/COC fact-finding mission, August 2007.

რეპორტაჟს ვამზადებთ. მაგალითად, საქართველოში, პანკისის ხეობაში მცხოვრები ჩეჩნური სუბეთნოსი საკუთარ თავს „ვაეპიის“ უწოდებს, ქართველები კი მათ „ქისტებად“ მოიხსენიებენ.

თუკი რომელიმე ჯგუფი ეწინააღმდეგება მისი წევრების ამა თუ იმ სიტყვით მოხსენიებას, ამ სიტყვის წარმოშობა უნდა გამოვიკვლიოთ. რა ასოციაციებსა და აზრებს ბადებს მისი გამოყენება? რატომ იწვევს ის ადამიანთა უკმაყოფილებას? რის გამო განაგრძობენ სხვა ჯგუფების წევრები მის გამოყენებას?

აი, რამდენიმე მაგალითი სადისკუსიოდ: აზერბაიჯანში სომხის აღმნიშვნელი სიტყვა (ermənі) სალანძღავად არის მიჩნეული; черножо́пый, черножопый ანდა chernaia zhopa კავკასიელი ხალხების — ჩეჩნების, აზერბაიჯანელების, ქართველებისა და სომხების — აღმნიშვნელი ტერმინია რუსეთში და „შავ უკანალს“ ნიშნავს.

♦ ზოგჯერ პოლიტიკოსები თუ საეკლესიო პირები შეურაცხმყოფელ ტერმინებს იყენებენ უმცირესობათა წარმომადგენლების მიმართ, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჟურნალისტმა ამგვარი სიტყვები და საუბრის მანერა საკუთარი რეპორტაჟებისა და წერილების სტილად უნდა აქციოს. ზოგჯერ მათი სიტყვების პერიფრაზია აუცილებელი. ხოლო თუკი გადავწყვეტთ მათი სიტყვების ზუსტ ციტირებას, აუცილებელია იქვე აღვნიშნოთ, რომ მოცემული ჯგუფის წევრები ამგვარ ლექსიკას შეურაცხმყოფელად მიიჩნევენ.

მოვიყვანთ იმის მაგალითს, თუ როგორ იყენებენ ჰომოსექსუალთა წინააღმდეგ მიმართულ შეურაცხმყოფელ ლექსიკას არა მხოლოდ რესპონდენტები (ამ შემთხვევაში, ქართველი სოციოლოგი ანზორ გაბიანი), არამედ ჟურნალისტებიც, თანაც ამას წერილის სათაურშივე სჩადიან: *„როგორ ამწყვდევენ ხაფანგში ჰომოსექსუალები გამოუცდელ ბიჭებს“.*[1]

---

[1] „კვირის ქრონიკა“ (31 (345), 2008.

შესავალ პარაგრაფში ვკითხულობთ: *„მას მერე, რაც ქართველმა პოლიტიკოსებმა დასავლეთისაკენ აიღეს გეზი, ჩვენს ქვეყანაში ჰომოსექსუალთა რიცხვმა მკვეთრად იმატა. ლესბოსელებმა და „გომიკებმა“ [რუსულ სლენგში – ჰომოსექსუალების აღმნიშვნელი შეურაცხმყოფელი სიტყვა] თბილისში საკუთარი კლუბი გახსნეს და, თქვენ წარმოიდგინეთ, გეი-აღლუმის მოწყობაც კი განიზრახეს. იმასაც ამბობენ, რომ მათი უმრავლესობა სამთავრობო თანამდებობაზეა მოკალათებული და ოფისში სამუშაოს მაძიებელი ახალგაზრდების შეცდენას ცდილობენ“.*

ინტერვიუს შეკითხვას სოციოლოგი ასე პასუხობს: *„ჩვენი ქვეყნის ევროპეიზაციის ფარგლებში, თვით ისეთ ტრადიციულ საზოგადოებაშიც კი, როგორიც ქართულია, ჰომოსექსუალიზმი სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სულ უფრო ფართო არეალს იკავებს. საუბედუროდ, ამ პროცესში უამრავი ახალგაზრდა და ყმაწვილია ჩათრეული, ვისაც ჯერ ქალის გემო არ გაუსინჯავს – ზოგს ამ ხაფანგში მოტყუებით ითრევენ, ზოგსაც ძალით.* ***ჰომოსექსუალებს, მაფიის მსგავსად, საკუთარი კლანი აქვთ,*** *რომელიც მთელ მსოფლიოში ვრცელდება და რომლის წევრებიც ერთმანეთს ყველაფერში უწყობენ ხელს. ეს ძალზე საშიშია“.*

♦ თავი ავარიდოთ „დემონურ“ ზედსართავ სახელებს, როგორიცაა: ბოროტი, სასტიკი, უხეში თუ ბარბაროსი. ნაცვლად ამისა, უნდა გავავრცელოთ ზუსტი ინფორმაცია ამა თუ იმ ჯგუფის წევრის იმ შეუფერებელი ქცევის შესახებ, რაც ჩვენთვის ცნობილი გახდა, ამასთან, მაქსიმალურად ავთენტურად გადმოვცეთ ამ ქმედებებთან დაკავშირებით სხვა პიროვნებათა გამონათქვამები.

ამგვარი „დემონური“ და უკიდურესად უხეში გახლავთ, მაგალითად, გამონათქვამი *„ლგბტ-კაშია“*, რომელიც გაზეთ „ასავალ-დასავალის“ ჟურნალისტმა გამოიყენა იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ფეხბურთის ეროვნული გუნდის კაპიტანს, გურამ კაშიას ლგბტ-ს უფლებების მხარდასაჭერად

კაპიტნის სამკლავურზე ცისარტყელას სიმბოლო ეკეთა ნიდერლანდებში 15 ოქტომბერის როდესაც, რომელშიც ის თავისი პროფესიული გუნდის, „ვიტეს არნჰემის“ შემადგენლობაში მონაწილეობდა: *„ლგბტ-კაშია საქართველოს გუნდიდან უნდა გაძევდეს!“*[1]

♦ სიფრთხილე გვმართებს მსგავსი ფრაზების გამოყენებისას: „როგორც ყველასათვის ცნობილია...“, „საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ...“, ანდა „თავისთავად ცხადია, რომ...“. როგორც წესი, ამ ფორმით პოლიტიკოსებს შემოაქვთ თავიანთი საკუთარი ან მათი სოციალური ჯგუფის ტენდენციური მოსაზრებები და ძალზე ხშირად ის, რაც „ყველასთვისაა ცნობილი“, ყალბია, ცრურწმენაზეა დამყარებული და რეალურ ვითარებას არ შეესაბამება.

ეს კიდევ ერთი ამონარიდია ანზორ გაბიანის ზემოთ ციტირებული ინტერვიუდან: *„ყველასათვის ცნობილი ფაქტია, რომ მამათმავლები ცდილობენ ისეთ სამუშაოზე მოეწყონ, სადაც ბევრი ბიჭია, მაგალითად, სკოლებსა თუ საბავშვო ბაღებში, რადგან ახალგაზრდების მოტყუებით მახეში გაბმა უფრო ადვილია“.* გარდა განმაზოგადებელი ფრაზისა *„ყველასათვის ცნობილი ფაქტია...“* გაბიანი ასევე იყენებს სიტყვას *„მამათმავლები“,* რაც ქართულ სალაპარაკო ენაში ჰომოსექსუალის აღმნიშვნელია და, ექსპერტთა თქმით, ამ მოვლენას კრიმინალურ კონოტაციას ანიჭებს.

♦ საკამათო თემებზე საუბრისას თავი მოვარიდოთ განზოგადებებს: ვიხმაროთ „ზოგიერთი“ ნაცვლად სიტყვისა „ყველა“ და „ხშირად“ ნაცვლად „ყოველთვის“.

♦ გამოვიყენოთ ზუსტი, ცალსახა გამოთქმები. ორაზროვანი ფრაზები გაუგებრობას იწვევს და ხშირად დაწერილისადმი უნდობლობის საწინდარია.

---

[1] გაზეთი „ასავალ-დასავალი“, 2017 წლის 19 ოქტომბერი.

ჩვენს გონებაში შექმნილი სურათები

ჟურნალისტის საქმეში ერთ-ერთი ურთულესი მომენტია სათქმელის ჩამოყალიბება ტენდენციურობის გარეშე. ტენდენციურობაში ვგულისხმობთ გარკვეული თემისა თუ თვალსაზრისისათვის უპირატესობის მინიჭებას. ჟურნალისტის წინაშე თემების დიდი მრავალფეროვნებაა, რომელთა შესახებ შეიძლება მოუწიოს წერა; ზოგიერთი თემის თაობაზე, შესაძლოა არასოდეს გვსმენია, სხვები კი უშუალოდ გვეხება ჩვენ ან ჩვენს ახლობელს. ტენდენციურობის გარეშე წერა ძალზე ძნელია, რადგან, თუკი ესა თუ ის თემა პირადად გვაღელვებს, ბუნებრივად შევეცდებით, მის შესახებ ისე დავწეროთ, რომ მკითხველი თუ მსმენელი ჩვენი შეხედულებების სისწორეში დავარწმუნოთ. მაგრამ ეს ჟურნალისტის მოვალეობაში არ შედის. ჟურნალისტს ევალება, ადამიანებს ჭეშმარიტი ფაქტები მიაწოდოს.

მასალის შეგროვებისას უნდა ვეცადოთ, გავაცნობიეროთ ყველა ის ტენდენციურობა, სტერეოტიპი თუ წინასწარი განწყობა, რაც შეიძლება, მოცემულ თემასთან მიმართებით გვქონდეს. როგორც ვთქვით, ბუნებრივია, რომ ნებისმიერ თემასთან დაკავშირებით საკუთარი აზრი გაგვაჩნდეს, მაგრამ ჟურნალისტიკის მისია, სხვათა შორის, ისიც არის, ჩვენს საკუთარ და ჩვენი საზოგადოების ცრურწმენებს ჩავუკვირდეთ და მათი გამომწვევი მიზეზები გამოვიძიოთ. თუმცა სტერეოტიპების უმრავლესობა შეიძლება სრულიად ილუზორულ ინფორმაციასა თუ შეხედულებებს ეფუძნებოდეს, მკვლევრებმა დაადგინეს, რომ ზოგიერთი მათგანი რაციონალურ მარცვალს შეიცავს, ზოგი კი სრულიად მართებულია. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სტერეოტიპები შესაძლოა მეტწილად უწყინარი იყოს, მათ ძალუძთ გამოიწვიონ ცრურწმენა, რომელიც ადამიანების ჯგუფურ მიკუთვნებაზე დამყარებულ მტრულ ან ნეგატიურ განწყობას გულისხმობს. ამიტომაც:

♦ არასოდეს მოახდინო ადამიანის იდენტიფიცირება მისი რელიგიის თუ სოციალური ჯგუფის მიხედვით

ადამიანები მუდამ პიროვნებებად უნდა წარმოვიდგინოთ, და არა ამა თუ იმ რელიგიური თუ ეთნიკური ჯგუფის, ანდა სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებად. მივუთითოთ ადამიანის რწმენა, ეთნიკური წარმომავლობა, განათლების დონე, ასაკი, სექსუალური თუ პოლიტიკური ორიენტაცია მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს უშუალოდ იმ სიუჟეტს უკავშირდება, რომელსაც აუდიტორიას მოვუთხრობთ, და მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს, ჩვენი აზრით, ამა თუ იმ მნიშვნელოვანი საკითხის დასაზუსტებლადაა აუცილებელი.

როდესაც ვახსენებთ ადამიანის ეროვნებას, სექსუალურ თუ პოლიტიკურ ორიენტაციას, აუცილებელია ამისთვის შესაბამისი კონტექსტის შექმნა და მეტი ინფორმაციის მიწოდება.

♦ თავი აარიდე სტერეოტიპებზე ან ცრურწმენაზე დამყარებულ სენსაციებს

თითოეული ადამიანი სხვებისაგან განსხვავდება, ამიტომ უმცირესობათა წარმომადგენლებსაც ისე უნდა მოვეპყროთ, როგორც დამოუკიდებელ ინდივიდებს. დაუშვებელია, ერთის ქცევა ამავე მრწამსისა თუ ეროვნების ყველა სხვა წარმომადგენელზე გადავიტანოთ, როგორც ეს ზემოთ მოყვანილ საგაზეთო სათაურში გვხვდება: *„როგორ ამწყვდევენ ხაფანგში ჰომოსექსუალები გამოუცდელ ბიჭებს“.* დაუშვებელია, ჩვენთვის ცნობილი თვისებები მთელ ჯგუფს მივაწეროთ, თუნდაც გარედან ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნას, თითქოს ჯგუფის ყველა წევრს ერთი და იგივე ქცევები და შეხედულებები ჰქონდეთ. ცხოვრება არასოდესაა ასე მარტივი. უმცირესობის ზოგიერთი წევრი შეიძლება მართლაც ისე მოიქცეს, როგორც ეს, გავრცელებული შეხედულების თანახმად, მის ჯგუფს ახასიათებს, მაგრამ შესაძლებელია, უმრავლესობა სრულიად განსხვავებულად იქცეოდეს. მაგალითისათვის, ზოგიერთ ჰომოსექსუალ მამაკაცს ქალური მანერები აქვს (ისევე, როგორც ზოგიერთ

ჰეტეროსექსუალსაც), ხოლო ზოგიერთი ლესბოსელი ბიჭურად გამოიყურება, მაგრამ ეს ყველას როდი ეხება; ისევე როგორც ყველა შავკანიანს არ აქვს ათლეტური აღნაგობა.

ობიექტური ჟურნალისტური რეპორტაჟისათვის თავდაპირველად აუცილებელია, გავაანალიზოთ ჩვენი საკუთარი პოზიცია და დავადგინოთ, ხომ არ არის ის, რაიმე სახით, ტენდენციური. უნდა ამოვიცნოთ ჩვენი საკუთარი და ჩვენი ჯგუფისათვის დამახასიათებელი სტერეოტიპები და ცრურწმენები და იმაშიც დავრწმუნდეთ, რომ განზოგადებული კომენტარები ჩვენს რეპორტაჟს აზრს არ უცვლის და რომელიმე რელიგიური თუ ეთნიკური უმცირესობის დისკრიმინაციას არ ახდენს.

რაც შეიძლება მეტ ადამიანს ვესაუბროთ და შეხედულებათა რაც შეიძლება ფართო სპექტრი წარმოვადგინოთ. გამოვიყენოთ საექსპერტო წყაროების ფართო ქსელი. და, სულ ცოტა, ერთი მთლიანი დღე გავატაროთ რომში უსახლკაროებთან, ტრანსგენდერებსა თუ ლტოლვილებთან ერთად, თუკი გვსურს, სინამდვილეში ჩავწვდეთ იმას, როგორ ცხოვრობენ ეს ადამიანები. რისი იმედი აქვთ, რა აშინებთ? ურიგდებიან თუ არა ეს ადამიანები ჩვენს სტერეოტიპებს?

აგრეთვე, ჩვენმა პირადმა გამოცდილებამ არასოდეს უნდა იქონიოს გავლენა ჩვენს რეპორტაჟზე, რადგან ეს ირელევანტურია. დამნაშავეების ნაცვლად ფაქტები და ლოგიკური განმარტებები უნდა ვეძებოთ.

♦ **უფრთხილდი უარყოფითი ხატის შექმნას:** უმცირესობებს ხშირად უწევთ სხვებისაგან განსხვავებულობის ტვირთის ზიდვა. ნუ გავაიგივებთ მათ იმასთან, რაც ყველას აშინებს, მაგალითად, ტერორიზმთან, კანონისა და სამართლის დარღვევასთან, ინტელექტუალურ გამოწვევასთან (ანუ დაბალ ინტელექტთან, ჭკუასუსტობასთან), ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობასთან, ქურდობასთან, ქალების ჩაგვრასა და ძალადატანებით ქორწინებასთან და სხვა.

მაგალითისათვის, სომხეთის პარლამენტის წევრმა, რესპუბლიკელთა პარტიის წარმომადგენელმა მანველ ბადეიანმა შეურაცხყოფა მიაყენა ჟურნალისტს, რომელმაც შეკითხვა დაუსვა. მან ჟურნალისტი იეზიდ მეეზოვეს შეადარა: *„ნუთუ ასეთი დაბალი ინტელექტის პატრონი ხართ, ამას რომ მეკითხებით? ეს რომ ჩემთვის ქუჩაში ვინმე იეზიდს ეკითხა, არ გამიკვირდებოდა, მაგრამ თქვენ ნუთუ მართლა ასე ფიქრობთ?“*[1]

უმნიშვნელოვანესი იდეა, რაც უნდა გვახსოვდეს, ასეთია: დანაშაულს, სიღარიბეს ანდა გონიერებას ეთნიკური შეფერილობა არ გააჩნია. ასევე უნდა გვესმოდეს, რომ შეიძლება, დანაშაულსა და გაჭირვებას თვით სისტემაში ფესვგადგმული მიზეზები ჰქონდეს, ამიტომაც საფუძვლიანად უნდა გამოვიკვლიოთ სისტემა.

♦ **თავი აარიდე „ჩვენ“ და „თქვენ“ ხატების დაპირისპირებას.** ქართული (სომხური/აზერბაიჯანული) ეროვნება ყველას თანასწორ უფლება-მოვალეობებს ანიჭებს. უნდა გვახსოვდეს, რომ უმცირესობათა ზოგიერთი წარმომადგენელი (ქისტი, აფხაზი და ა. შ.), ამავე დროს, ქართველიცაა (ასირიელები, ქურთები და სხვ. თავს სომხებადაც მიიჩნევენ, ხოლო ლეკები, ტალიშები, ტატები, ავარები და აშკენაზები – აზერბაიჯანელებად). აუცილებელია, დავაფასოთ ჩვენ შორის განსხვავებებიც და ისიც, რაც სხვადასხვა მრწამსის მქონე ადამიანებს გვაერთიანებს: მათ შორის, ისეთი ზნეობრივი ფასეულობები, როგორებიცაა სტუმართმოყვარეობა, ოჯახის სიყვარული, უფროსებისა და გაჭირვებულებისადმი დახმარების მოთხოვნილება.

---

[1] http://epress.am/en/2013/12/13/mp-who-offended-journalists-is-confident-he-wont-be-punished.html

ინფორმაციის მოპოვება და წყაროებთან მუშაობა

ამა თუ იმ ამბის დასაწერად პირველი ნაბიჯი მოცემულ თემასთან დაკავშირებით ინფორმაციის შეგროვება უნდა იყოს. ამისათვის ის ადამიანები დაგვჭირდება, რომლებიც მოცემულ მოვლენას თავად შეესწრნენ, ანდა, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო თემაში ღრმად არიან ჩახედულნი. ეს განსაკუთრებით ჟურნალისტიკისთვისაა მნიშვნელოვანი: ჩვენ მიერ გამოყენებული ინფორმაცია ჩვენი ნაწერის ბირთვია.

როდესაც ვწერთ ეთნიკური, სოციალური თუ რელიგიური უმცირესობის შესახებ, უაღრესად მნიშვნელოვანია, ამ ჯგუფის წარმომადგენლებს უშუალოდ გავესაუბროთ და მათი პერპექტივებიც გავითვალისწინოთ. სხვა შემთხვევაში ისინი რეპორტაჟის „ობიექტები“ იქნებიან და არა „სუბიექტები“. დაუშვებელია, წერილსა თუ რეპორტაჟში გავაკრიტიკოთ მთელი ჯგუფი ისე, რომ მის წევრებს არ მივცეთ აზრის გამოთქმისა და თავის მართლების საშუალება.

ყურადღებით შეისწავლეთ წყაროები სოციალური ჯგუფების შესახებ. მოძებნეთ ის ადამიანები, რომლებიც თანახმა იქნებიან, გაგესაუბრონ, გიამბონ იმის შესახებ, რა სურს მათს ჯგუფს, რისი იმედი აქვს, რა აშინებს. დაუკავშირდით იმ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც ამ ჯგუფების უფლებებს იცავენ და ჰკითხეთ, მათი ცხოვრების რომელი ასპექტებია ისეთი, აქამდე რომ არ გაშუქებულა. სთხოვეთ, საქმის კურსში ჩაგაყენონ იმ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და სხვა პროცესებთან დაკავშირებით, რომელთა შესახებაც მათ გარეშე ვერ შეიტყობდით. შეიძლება, თქვენ მიერ მოყოლილი ამბავი სწორედ იმ პირის მიერ მოწოდებული ინფორმაციით დაიწყოს, რომელიც პრობლემას შიგნიდან იცნობს ანდა დელიკატურ ინფორმაციას ფლობს.

♦ **იცოდე, ვის შესახებ საუბრობ:** ჩვენი თემის შესწავლით ჩვენ მისი კონტექსტისა და შიგთავსის წვდომას ვსწავლობთ. მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ შეიძლება, ჩვენსა და შესასწავლ თემას შორის კულტურული დაბრკოლებები აღმოჩნდეს, რომლებიც ინფორმაციისაკენ გზას გადაგვიკეტავს. ამიტომაც გვიწევს საკითხის შესწავლა, ვებგვერდების მოძიება და საქმეში ჩახედულ ექსპერტებთან მოთათბირება. მათი უმრავლესობა სიამოვნებით დაგვეხმარება თემის უკეთ წვდომაში. მათგან ინფორმაციის მიღებისას შევარჩიოთ ურთიერთობის ნეიტრალური სტილი და ნუ გავიმეორებთ სხვა ადამიანების შეცდომებს.

♦ **შეისწავლეთ ტაბუები**: ყურადღებით გაეცანით იმას, თუ რა მიაჩნიათ სხვა კულტურის წარმომადგენლებს მიუღებლად. ეს შეიძლება იმაში გამოიხატოს, რომ ტაძარსა თუ სახლში შესვლისას ფეხზე გახდაა აუცილებელი. ან იმაში, რომ ქალებს მოკრძალებული ქცევა მოეთხოვებათ. ანდა იმაში, რომ როდესაც საჭმელს გთავაზობენ, უარის თქმა შეურაცხყოფას ნიშნავს.

♦ **იყავით სკეპტიკოსები, გადაამოწმეთ ფაქტები და მოვლენა ყველა მხრიდან გააშუქეთ:**

სკეპსისი აქ გულისხმობს იმას, რომ დასაბუთების გარეშე არ უნდა ვენდოთ ამა თუ იმ მტკიცებას. თუმცა ეს ცინიზმს როდი ნიშნავს, რომელიც ნებისმიერი ადამიანისადმი უნდობლობას გულისხმობს. მთავარი ისაა, იმთავითვე იოლად არ ვენდოთ ინფორმაციას, სულ ერთია, ჩვენი ჯგუფის წარმომადგენლისგან მოდის ის თუ სხვა ჯგუფისა.

უნდა გვახსოვდეს, რომ ყველას, ვისაც ვესაუბრებით, საკუთარი შეხედულება და საკუთარი ინტერესები აქვს. ამიტომ ჩვევად უნდა შემოვიღოთ მსგავსი შეკითხვების დასმა: რატომ მიამბობს ეს ადამიანი ამას? რაიმე მიზეზი ან ფარული ინტერესი ხომ არ ამოძრავებს? რას მოიგებს ან რას წააგებს ის ამ

ინფორმაციის გამოქვეყნებით? აქვს თუ არა მას საიმისო **კვალიფიკაცია,** რომ ამ საკითხზე იმსჯელოს შეძენილი გამოცდილების ან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე? მეორე ან მესამე ხელიდან მიღებულ ინფორმაციას ხომ არ გვაწვდის, რასაც ჩვენ **ყურმოკრულს** ვუწოდებთ? (ასეთ შემთხვევაში ვეცადოთ, ინფორმაციის პირველწყარომდე მივაღწიოთ). ხომ არ აქვს ამ ამბავს **მეორე მხარე** (ან რამდენიმე მხარე)? მაქსიმალურად თუ დავიხარჯე საიმისოდ, რომ ამბის **გასაწონასწორებლად** საპირისპირო აზრიც მომესმინა? ჩემი ინფორმაციის **დასასაბუთებლად ავტორიტეტული წყაროები** თუ გამოვიყენე, რათა მკითხველებმა ჩემი ნათქვამი ჯეროვნად **დააფასონ**?

რამდენადაც, როგორც წესი, სჯობს ყველაფერი **საკუთარი თვალით ნახო,** ისეთი მოვლენის აღწერისას, რაც ჩვენი თვალით არ გვინახავს, დასარწმუნებლად აუცილებელია, **ერთზე მეტ სანდო წყაროს** დავემოწმოთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ეგრეთ წოდებული „ერთი წყაროს სინდრომი“ (single souce sindrom – SSS) შეიძლება უკიდურესად მავნე აღმოჩნდეს. ისიც უნდა გვახსოვდეს: **თუ გვეჩვენება, რომ რაღაც არადამაჯერებლად კარგად ჟღერს,** შესაძლოა, მისი დაჯერება მართლაც არ ღირდეს.

უნდა განვასხვავოთ ფაქტები შეხედულებებისაგან, თუმცა შეხედულებებსაც ნდობით უნდა მოვეკიდოთ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კარგი ჟურნალისტი, გარკვეულწილად, **კარგი მოსამართლეა:** ისევე სერიოზულად უნდა გადავწყვიტოთ, თუ რა სახით მივაწოდოთ მკითხველს ინფორმაცია, როგორც მოსამართლე წყვეტს, რა განაჩენი გამოიტანოს. უნდა განვსაჯოთ, გვაქვს თუ არა საკმარისი დამამტკიცებელი საბუთი, დოკუმენტური მასალა, სანდო მოწმობა. ხშირად, ყოველდღიური რეპორტაჟების მომზადებისას, ეს შეიძლება გაგვიადვილდეს კიდეც, მაგრამ შეუძლებელია, იმის გამო მივატოვოთ, რომ ეს რუტინად იქცა.

სოციალურ ჯგუფებს შორის კონფლიქტებთან დაკავშირებული ინფორმაცია მეტწილად რთული და პრობლემურია. შესაძლოა, ორივე მხარეს ჰქონდეს საფუძვლიანი არგუმენტები და პერსპექტივები და ჟურნალისტის პროფესიის მნიშვნელოვანი ნაწილია ორივე პოზიციის სამართლიანად და გაწონასწორებულად გაშუქება. უნდა ვეცადოთ, წარმოვაჩინოთ რთული სოციალური პრობლემების შავიც და თეთრიც.

როგორც უკვე ითქვა, ჩვენს რესპონდენტთა შორის აუცილებლად უნდა იყვნენ უმცირესობათა წარმომადგენლებიც. ხოლო თუკი პიროვნებას არ სურს ჩვენს შეკითხვებზე პასუხის გაცემა და ჩვენთან საუბარი, ეს მტრულ ჟესტად არ უნდა მივიჩნიოთ. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადამიანი რამეს კი არ გვიმალავს, არამედ, უბრალოდ არ ესმის, თუ როგორ მუშაობს მედია. ასეთ შემთხვევაში უნდა გავესაუბროთ იმ ორგანიზაციის სპიკერს, რომელიც მოცემული უმცირესობის ინტერესებს იცავს. და ნუ დაგვავიწყდება ამ საქმეში მონაწილე ყველა მხარის აზრის გათვალისწინება.

♦ რესპონდენტებს სთხოვე, დამატებითი წყაროები მიგითითონ

ინტერვიუს დასასრულს ვიკითხოთ, ხომ არ გვირჩევენ კიდევ ვინმეს, ვისთანაც შეგვეძლება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით გასაუბრება. სავარაუდოდ, ასეთი ვინმე ეცოდინებათ. შეიძლება, ამა თუ იმ სამთავრობო სააგენტოს, სკოლის თუ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა საკუთარი კოლეგები გვირჩიონ, მოქალაქეებმა კი – ის პიროვნებები, რომლებიც მათ შეხედულებებს იზიარებენ. შესაძლოა, ამა თუ იმ მხარის წარმომადგენლებმა საპირისპირო „ბანაკის“ მომხრეზეც მიგვითითონ. რესპონდენტის რჩევა უნდა გავითვალისწინოთ, მაგრამ არ უნდა გამოვრიცხოთ მისი ტენდენციურობა და მისი სიტყვები სხვების ნათქვამთან უნდა შევაჯეროთ.

♦ **გამოვკითხოთ უმცირესობათა წარმომადგენლები სხვა თემებთან დაკავშირებითაც:** უმცირესობათა წარმომადგენლები ისეთივე მოქალაქეები არიან, როგორც სხვები, მათაც იმავე პრობლემებთან უწევთ დაპირისპირება, რაც დანარჩენებს (უმუშევრობა, ფასების ზრდა, შვილების განათლება და სხვ.). საჭიროა, გავაშუქოთ მათი აზრი იმ საკითხებზე, რაც მათ რწმენას თუ ეროვნებას სცილდება. წარმოვაჩინოთ ისინი საზოგადოების რიგით წევრებად.

განსხვავებული ბექგრაუნდის მქონე ადამიანების ჩართვა აუცილებელია არა მხოლოდ სამართლიანობისა და წონასწორობის გამო, ჟურნალისტს ეს საქმიანი გადასახედიდანაც სჭირდება. ზოგიერთი მედია-გამოშვება თავის პოტენციურ აუდიტორიას რაოდენობრივად ამცირებს იმით, რომ ერთდროულად მხოლოდ ერთი სოციალური ჯგუფის გამოკითხვით შემოიფარგლება. თუკი ისინი თავიანთ საქმიანობას პარალელურად სხვადასხვა ჯგუფზე გაავრცელებენ, ამით საზოგადოების სხვადასხვა წევრთა ინტერესს მიიზიდავენ.

ყოველთვის უნდა ვკითხოთ რესპონდენტს, თუ როგორ წარვუდგინოთ აუდიტორიას და მისი სურვილი აუცილებლად გავითვალისწინოთ. მასალის დამუშავებისას გამოვასწოროთ გრამატიკული შეცდომები, თუკი ისინი რეპორტაჟს არასახარბიელოდ წარმოაჩენს.

♦ **გვახსოვდეს ქალები და ბავშვები:** იმ სოციალურ ჯგუფებში, სადაც წამყვან როლს მამაკაცები თამაშობენ, საფიქრალია, მოვლენების მეტისმეტად რადიკალურ შეფასებას ნავაწყდეთ. ამიტომ საჭიროა, ქალებისა და ბავშვების აზრიც მოვისმინოთ. იმ საზოგადოებაშიც კი, სადაც მამაკაცი დომინანტობს, ადამიანები მეტწილად ოჯახებად ცხოვრობენ. ცხოვრების განსხვავებული სტილის ასახვა უფრო რბილად და ადამიანურად წარმოაჩენს ზოგიერთი უმცირესობის სახეს, რომელიც ამის გარეშე შეიძლება უხეში და სასტიკი მოგვეჩვენოს.

♦ **ერიდეთ რესპონდენტებთან მეტისმეტად დამეგობრებას:** როდესაც ვიღაცას ხშირად ვართმევთ ინტერვიუს და დიდხანს გვიწევს მასთან ურთიერთობა, ის შესაძლოა მეგობრად აღვიქვათ, მაგრამ მეტისმეტმა დაახლოებამ შეიძლება ჩვენი ობიექტურობა დააზარალოს. თუკი რესპონდენტს დავუმეგობრდებით, შესაძლებელია, უნებლიეთ დავიკავოთ მისი პოზიცია მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, სხვა კი ჩრდილში მოვაქციოთ. შესაძლოა, მის მხარდასაჭერად თუ დასაცავად გაგვიჩნდეს მნიშვნელოვანი ინფორმაციის დამალვის იმპულსიც. არც ისაა გამორიცხული, სულაც ავარიდოთ თავი საგაზეთო წერილის დაწერას იმის გამო, რომ რესპონდენტს არ სურს ინფორმაციის გასაჯაროება.

♦ **ამხილე და დაუპირისპირდი რასისტულ პროპაგანდას:** ყველაზე საშიში ის ფანატიკოსია, რომელსაც საზოგადოებაში საპატიო ადგილი უკავია. უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ იგი მუდამ სააშკარაოზე იყოს გამოყვანილი და მისი შეურაცხმყოფელი გამონათქვამები დაუსჯელად არ დარჩეს.

♦ **უფრთხილდი ექსტრემისტთა გამონათქვამების გავრცელებას:** უნდა ვეცადოთ, სანდო და პატივცემული ადამიანები გამოვკითხოთ. ვუფრთხილდეთ ზოგიერთი ადამიანების იმ აზრთა გახმიანებას, უმრავლესობას ექსტრემალურად რომ მოეჩვენება. თუმცა, ზოგ შემთხვევაში, აუცილებელი ხდება ასეთ ექსტრემისტთა აზრის გადმოცემა, ეს აზრი ისეთ კონტექსტში უნდა მოვაქციოთ, რომ გამოჩნდეს ამ ადამიანის გარემოცვა და ბექგრაუნდი.

♦ **რესპონდენტთა სტატისტიკა:** მცდარი და გადაუმოწმებელი რიცხვების ხსენებამ შეიძლება დეზინფორმაცია და დიდი უსიამოვნებებიც გამოიწვიოს. აუცილებელია, რიცხვობრივი მონაცემები სანდო წყაროებთან გადავამოწმოთ.

რჩევები სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენელთათვის ინტერვიუს ჩამორთმევასთან დაკავშირებით

გულდასმით მოვუსმინოთ იმ ამბებს თუ ანეკდოტებს, რომლებსაც ინტერვიუს დროს გვიამბობენ. როდესაც რესპონდენტი ჩვენთან საუბარში იწყებს რაიმე ამბის თხრობას, ყველაფერი კარგად უნდა ჩავინიშნოთ და შეკითხვებიც დავუსვათ, რათა ეს ანეკდოტი რაც შეიძლება შთამბეჭდავი და ფერსავსე გამოვიდეს. წერისას ვეცადოთ, ამბავი მოკლე იყოს, მაგრამ დასრულებული, თავისი დასაწყისით, კულმინაციითა და დასასრულით. თუკი შესაძლებელია, გამოვიყენოთ პირდაპირი მეტყველება, დიალოგები, აღწერა და დინამიკური მოქმედება. მაგრამ, თუნდაც ძალიან კარგი ანეკდოტი უადგილოა, თუკი მას მთავარ სიუჟეტთან კავშირი არ აქვს. ასეთ შემთხვევაში მისი გამოყენება არ ღირს.

ამგვარი მოკლე ამბების თხრობისას გამოვიყენოთ დროის გარემოებები. ზოგიერთი ამბავი შეიძლება ასე დაიწყოს: „სამი წლის წინათ, ერთ მშვენიერ დილას...“, სხვა კი დეტალების აღწერით იწყებოდეს: „ის თავის ბაღში ყვავილებს რწყავდა, როდესაც...“

ინტერვიუს მსვლელობისას **ასევე დავაკვირდეთ** ჩვენ გარშემო მიმდინარე მოვლენებს, ჩავინიშნოთ, თუ საჭიროა, **დიალოგის** ვრცელი მონაკვეთები და არა მარტო მოკლე გამონათქვამები.

თავი ავარიდოთ განსაკუთრებული დატვირთვის მქონე მეტყველებას, ანუ ისეთ ტენდენციურ შეკითხვებს, რომლებიც რესპონდენტს კონკრეტული პოზიციისაკენ უბიძგებს. შეკითხვა არ უნდა იყოს დაჟინებული, მაგრამ საქმიანად და ღრმად უნდა გამოიკვლიოს საკითხი.

ადამიანებს ხშირად არ სურთ აზრის გამოთქმა, რადგან ამის მოსალოდნელი შედეგები აშინებთ. ჟურნალისტის მოვალეობაა, ეფექტური არგუმენტებით მოვიზიდოთ რესპონდენტები სხვადასხვა ჯგუფიდან. მით უფრო მნიშვნელოვანია, საუბრისას მათი უფლებები და მათი გრძნობები არ შეურაცხვყოთ.

რაც „კადრს მიღმა“ ხდება,
რჩება კიდეც „კადრს მიღმა“

ყველანი ვიცნობთ ისეთ რეპორტიორებს, რომლებიც აცხადებენ, რომ ცნება „კადრს მიღმა“ არ არსებობს, ანდა რესპონდენტს ჰპირდებიან, რომ ამა თუ იმ ინფორმაციას არ გაასაჯაროებენ, მაგრამ მეორე დღესვე მას რეპორტაჟში ათავსებენ.

ნუ იქნებით ასეთი რეპორტიორი!

მრავალ რესპონდენტს ბევრად მეტის მოყოლა სურს, ვიდრე მათი ზემდგომებისთვისაა სასურველი. ამგვარი ინფორმაცია, შესაძლოა, ძალზე ფასეული იყოს, მითუმეტეს, თუკი მისი მეშვეობით მოვახერხებთ ისეთი რესპონდენტის მიკვლევას, რომელიც მოსმენილის დადასტურებას უკვე **კადრში** შეძლებს. მაგრამ თუკი ვინმე გვთხოვს, მისი საუბარი არ ჩავიწეროთ, ჩვენ ამის გარანტია უნდა მივცეთ და პირობა უნდა შევასრულოთ კიდეც. მუდამ უნდა დავსვათ შეკითხვა: „ხომ არ მიმითითებდით ისეთ პიროვნებას, რომელიც **კადრში** შეძლებდა ამაზე საუბარს?

ბევრი რესპონდენტი მხოლოდ იმიტომ კი არ ითხოვს ჩასაწერი მოწყობილობის გამორთვას, რომ რაიმე დელიკატურის თქმა სურს, არამედ ის ამით **რეპორტიორს გამოცდას უტარებს.** სურს შეიტყოს, რამდენად პატივისცემით მოვეპყრობით მათს თხოვნას, კონკრეტული ინფორმაცია არ გავასაჯაროოთ. თუკი მოვახერხებთ, ეს დეტალები ისე გამოვაქვეყნოთ, რომ რესპონდენტი არ გავამხილოთ, ამით კიდევ მეტად მოვიპოვებთ მის ნდობას. დროთა განმავლობაში შეიძლება მან, ბევრად მეტიც გაგვანდოს.

პროფაილები

პროფაილები არის სიუჟეტები, რომლებიც კონკრეტულ პიროვნებებს გვიხასიათებს. ისინი შეიძლება იყოს მოკლე და ვრცელი. მოკლე პროფაილი უფრო ხშირად იმას გვიჩვენებს, თუ როგორ უკავშირება პიროვნების ცხოვრება ამა თუ იმ უფრო ვრცლად გაშუქებულ პრობლემას. მოკლე პროფაილები ხშირად **გვერდითა პანელების (სვეტების)** სახით მოჰყვება ძირითად ტექსტს. უფრო ვრცელი და სიღრმისეული პროფაილი გვიამბობს იმაზე, თუ რას წარმოადგენს ესა თუ ის პიროვნება, რის გამო გახდა ის წარმატებული, საკამათო და ა. შ. ამ სიუჟეტის მოსამზადებლად უნდა გამოვკითხოთ ადამიანები, რომლებიც ამ პიროვნებას ახლოს იცნობენ. ვრცელი პროფაილის შემთხვევაში ეს აუცილებელია. გავესაუბროთ მეგობრებს, ყოფილ კოლეგებს, მოწინაღმდეგეებსაც კი. მხოლოდ სხვებთან საუბრის შედეგად შეიძლება პიროვნების სრულყოფილი პორტრეტის შექმნა.

პროფაილსაც ჟურნალისტური ეთიკის იგივე ზოგადი კანონები ეხება, რაც რეპორტაჟს თუ სხვა ფორმას. გავითვალისწინოთ შემდეგი სტრატეგიები:

- ინტერვიუმდე რაც შეიძლება საფუძვლიანად შეისწავლეთ ეს პიროვნება. გამოიყენეთ ვიდეო და ონლაინ-მასალა და ჰკითხეთ კოლეგებს რჩევა დასასმელ შეკითხვებთან დაკავშირებით.
- ინტერვიუსათვის მყუდრო ადგილი შეარჩიეთ. ზოგიერთისთვის ეს შეიძლება მისი სახლი იყოს, სხვისთვის – სამუშაო ადგილი. ყურადღებით დააკვირდით რესპონდენტის გარეგნობას, ჩაცმულობას, ასევე გარემოცვას და ეს ყველაფერი გულდაგულ აღწერეთ პროფაილში.
- შეეცადეთ, მიაგნოთ ამ პიროვნების უნიკალურ მხარეს. რაზე ოცნებობს, რაზე სწყდება გული, ვინაა მისი გმირი, რა არის მისი სუსტი და ძლიერი მხარე, რომელია მისი

საყვარელი წიგნები და ფილმები? რა ანიჭებს მოტივაციას საქმიანობაში? როგორ უმკლავდება სირთულეებს?

- ინტერვიუ დიდხანს უნდა გაგრძელდეს, პროფილი კი ბევრად მოკლედ უნდა დაიწეროს. მასში მხოლოდ ყველაზე ძლიერი და შთამბეჭდავი მასალა, მხოლოდ საუკეთესო გამონათქვამები უნდა შევიდეს.
- წააქეზეთ რესპონდენტი ისეთი ამბების მოსაყოლად, რომელთა ანეკდოტებად გამოყენებას შეძლებთ.
- ნუ დაგვავიწყდება ის ბექგრაუნდი, რომელიც მკითხველს დაანახებს, თუ რატომ უნდა დაინტერესდეს ამ პიროვნებით. ცოტა ხნის წინათ ხომ არ ყოფილა პრესის ინტერესის საგანი? ან ისეთ ღონისძიებაში ხომ არ მიიღო მონაწილეობა, რომელიც მედიის ინტერესს იმსახურებს? საზოგადოებაში გავრცელებულ რაიმე ფართო ტენდენციას ხომ არ მისცა სათავე?

პროფაილი ორი სახისაა – ვრცელი და მოკლე. შესაძლოა, თხრობის მანერა იყოს ქრონოლოგიური, როდესაც ვიწყებთ პიროვნების დაბადებით და მის დღევანდელ ასაკამდე მივდივართ.

მაგალითისათვის გთავაზობთ ჟურნალ „ლიბერალში“ გამოქვეყნებული წერილის დასაწყისს, რომლის ავტორიც დათო ფარულავაა:

„მე ნატა მქვია“

ჟურნალი „ლიბერალი“

21 წლის ნატა ტრანსგენდერი ქალია. დღეს თავს სილამაზის სალონში მუშაობით ირჩენს. მაგრამ 4 წლის წინათ ყველაფერი სხვაგვარად იყო. ქალაქში ახალჩამოსულს, უცხოს, იმავე გაჭირვების გამოვლა მიუწია, რასაც საზოგადოებისაგან გარიყული ყველა ტრანსგენდერი განიცდის“.

დეტალური რეპორტაჟის და ახალი ამბების ანალიზი

ჟურნალისტიკა, პირველყოვლისა, მიმდინარე მოვლენებს ასახავს, მაგრამ ის ახალი ამბებით არ შემოიფარგლება. უკანასკნელ წლებში ინტერნეტმა შესაძლებელი გახადა **ინფორმაციის** უსწრაფესად, **ნებისმიერ დროს** და **ყველგან** გავრცელება. ამგვარად, დღეს მედიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობა გახდა, აუდიტორიას მსოფლიოს **გაგებაში** დაეხმაროს, მეტი ყურადღება ახალი ამბების ანალიზს მიაქციოს, ვიდრე უბრალოდ ინფორმაციის მიწოდებას.

განსაკუთრებით მაშინ, როცა რეპორტაჟი ეთნიკურ ან რელიგიურ ნიადაგზე მომხდარ კონფლიქტებს თუ ინციდენტებს, გართულებულ შიდა-ეთნიკურ ურთიერთობებს, დიალოგის არარსებობას, დისკრიმინაციისა და შეუწყნარებლობის აქტებს ეხება, დაუშვებელია, მხოლოდ მიმდინარე მოვლენებზე მოვახდინოთ კონცენტრირება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს მოვლენები არ უნდა წარმოვადგინოთ, როგორც ხანმოკლე გაელვება თუ იზოლირებული პროცესი. ჟურნალისტი უნდა ეცადოს **წვდომის ახალი ვარიანტების** ძიებას, მიაწოდოს აუდიტორიას დამატებითი ინფორმაცია, რომელიც საზოგადოებას მოვლენის უკეთ წვდომაში და მთლიანი სურათის დანახვაში დაეხმარება. ეს შესაძლებელია შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემით:

- რა შედეგი მოჰყვება მომხდარს?
- როგორია უფრო დეტალური ბექგრაუნდი და კონტექსტი?
- გავაფართოვოთ რეპორტაჟი სხვა მოვლენების მოზიდვით, რომლებიც აუდიტორიას მოცემული მოვლენის უკეთ გაგებაში დაეხმარება.
- დავინახოთ მოვლენის მასშტაბები შედარებით კონტექსტში – ეს მოვლენა პირველია მსგავს მოვლენებს შორის? ყველაზე დიდი ან ხანგრძლივია?

- ყურადღება მივაქციოთ არა მხოლოდ მოვლენის მოცულობას, არამედ რიგით მოქალაქეებზე მის ზეგავლენასაც.
- ვალაპარაკოთ ის ადამიანები, რომლებმაც მოვლენის უშუალო ზეგავლენა განიცადეს და ის ექსპერტები, რომლებიც ამ სფეროში ჩახედულნი არიან.

ზემოთ ჩამოთვლილის გათვალისწინებით, მოვლენა განცალკევებით კი არა, მსგავსი მოვლენების კონტექსტში უნდა მოვიაზროთ. ეთნიკური, რელიგიური თუ სხვა სოციალური კონფლიქტები არაფრიდან არ ჩნდება. როგორც წესი, ამგვარ კონფლიქტს დიდი ხნის ისტორია აქვს და ორივე მხარე მას ძალზე განსხვავებულად გვიყვება. რათა გულწრფელად და გასაგებად მივაწოდოთ აუდიტორიას მასალა, უნდა გავიაზროთ, რა მოხდა მანამდე, მერე კი გადავწყვიტოთ, ადრე მომხდარიდან რა ჩავრთოთ ჩვენს რეპორტაჟში, რათა აუდიტორია ღრმად ჩავახედოთ მოვლენის არსში.

ძალიან ბევრი რეპორტიორი დღის მოვლენების **დანაწევრებულ შეჯამებას** ახდენს. მაგრამ ეს არ არის საკმარისი, როდესაც კონფლიქტის თუ კატასტროფის შესახებ ვწერთ. აუცილებელია, დავსვათ შემდეგი კითხვები: რამ გამოიწვია დღევანდელი მოვლენა? შეიძლებოდა თუ არა, ყველაფერი სხვაგვარად მომხდარიყო? შეიძლებოდა თუ არა ამ მოვლენის თავიდან აცილება? რა ზომები მიიღეს ამასთან დაკავშირებით? რა შეიძლება გაკეთდეს მომავალში?

♦ **შენი მისია, პირველ ყოვლისა, იმაში დაინახე, რომ საყოველთაო ურთიერთგაგება დაამყარო.** ამის მისაღწევად უნდა ვეცადოთ, ის ბარიერები მოვშალოთ, რომლებიც ყოველდღიურ კომუნიკაციას აფერხებს ან შეუძლებელს ხდის. ჩვენი როლი ბევრად მეტია, ვიდრე მხოლოდ ახალი ამბების გავრცელება.

საამისოდ საუკეთესო საშუალებაა, მაგალითად, რელიგიასთან დაკავშირებული თემა ქვეყანაში ან მსოფლიოში აქტუა-

ლურ ღონისძიებას დავუკავშიროთ. ამგვარად, აუდიტორიას შეექმნება იმის შთაბეჭდილება, რომ ადგილობრივი თემა გლობალურ კონტექსტში განიხილება.

♦ **ნუ იქნები მეტისმეტად ამბიციური.** თუკი ეთნიკურ ან რელიგიურ ნიადაგზე მომხდარ დაპირისპირებას განვიხილავთ, ნუ ვეცდებით, პასუხი გავცეთ შეკითხვას: „ჩემი ქვეყნის პოლიტიკური სისტემა რისკის წინაშე ხომ არ დგას?“, არამედ უბრალოდ გავერკვეთ იმაში, თუ რა მოხდა და რას გვეუბნება ეს ქვეყანაში ეთნიკური თუ რელიგიური უმცირესობების სტატუსის შესახებ. ხომ არა აქვს ადგილი ისეთ სტრუქტურულ დისკრიმინაციას, ჩვენი საზოგადოების სისტემიდან რომ გამომდინარეობს? თავისთავად არსებული სისტემა ხომ არ უქმნის გარკვეულ ჯგუფებს თუ ადამიანებს არასახარბიელო პირობებს ისეთი ნორმებით თუ წესებით, რომელთა გამო ყველა ადამიანი თანასწორი უფლებებითა და შესაძლებლობებით ვერ სარგებლობს?[1] ქვეყნის მომავალზე ფიქრი კი მოიცდის.

რა უნდა გაკეთდეს უპირველესად? ჩამოვწეროთ იმ ადამიანთა სია, რომლებსაც გვინდა გავესაუბროთ. მათთანაც დაგვჭირდება გასაუბრება, ვისაც მომხდარის მიუკერძოებლად შეფასება შეუძლია (**დამოუკიდებელი პირები**) და მათთანაც, ვინც ბევრად უფრო ახლოსაა მომხდარ მოვლენასთან, იქნებ, მისი თანამონაწილეცაა, ანდა დაზარალებული (**პროტაგონისტები**). მათი შეხედულებები, სავარაუდოდ, უფრო **ცალმხრივი** ან **მიკერძოებული** აღმოჩნდება, ამიტომაც, თავის დასაზღვევად, ჯვარედინი გამოკითხვა უნდა ჩავატაროთ.

თავდაპირველად დამოუკიდებელ პირებს გაესაუბრეთ. პირველ ყოვლისა, აღნიშნეთ, რომ მათგან **დაკვალიანება** უფრო გჭირდებათ, ვიდრე ინტერვიუ და ციტატებად გამოსადეგი გამონათქვამები, თუმცა არც უკანასკნელს გამორიცხავთ.

---

[1] „მიუხედავად იმისა, რომ ერევანმა გასაქანი არ მომცა, მე მაინც მიყვარს ჩემი ქალაქი“.https://www.azatutyun.am/a/27809254.html

როგორ შეაფასებს ის მომხდარის მნიშვნელობას? ჰკითხეთ რჩევა, ვის ჯობია ჩამოართვათ ინტერვიუ. ეს პირველი საუბარი ამომწურავ ინფორმაციას ვერ მოგვაწვდის, მაგრამ ვითარებაში ჩაგვახედებს და მიგვითითებს, სად ვეძებოთ და ვინ გამოვკითხოთ. მთელ სამუშაო პროცესში ამ ეტაპის სწორად გავლა ყველაზე მნიშვნელოვნია.

ამის შემდეგ დროა, მიმართოთ პროტაგონისტებს. შესაძლოა, მათთან ურთიერთობა ბევრად უფრო გაგვიჭირდეს, რადგან, ზოგ შემთხვევაში, ისინი პრესას არ ენდობიან, ანდა ჟურნალისტთან საუბარი არ სურთ. ამიტომ მათთან დაკავშირებამდე უნდა ჩავინიშნოთ რამდენიმე **საკვანძო შეკითხვა.** ზედმიწევნით გვახსოვდეს, თუ ბლოკნოტის რომელ ფურცელზე გვაქვს ეს შეკითხვები ჩამოწერილი, რათა ხელსაყრელ ვითარებაში, როგორც კი სასურველ პირს ტელეფონით დავუკავშირდებით ან პირისპირ შევხვდებით, მაშინვე შევძლოთ მათი მოძიება. საჭირო არ არის, ბრმად მივყვეთ ამ შეკითხვებს. თუკი საუბარში ვიღაც ჩვენთვის მოულოდნელ არგუმენტს თუ მიმართულებას შემოიტანს, ნუ დავაბრუნებთ მას ჩვენ მიერ წინასწარ დაგეგმილ კალაპოტში, თუკი ის, სახელდობრ, თემას არ სცილდება. ჩვენი კითხვების მიყოლაზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, გავერკვეთ მის ნათქვამში და ღრმად ჩავწვდეთ საუბრის თემას.

- მუდამ გვახსოვდეს, რომ რაიმე კონფლიქტსა თუ დაპირისპირებაზე წერისას აუცილებელია, ამოვიცნოთ და გავაშუქოთ ყველა ელემენტი, არა მხოლოდ ისინი, რომლებიც **აშორებს,** არამედ ისინიც, რომლებიც **აერთიანებს** დაპირისპირებულ მხარეებს.
- მკაფიოდ ჩამოვთვალოთ ყველა ის პუნქტი, რომელიც ჩვენ და აუდიტორიას საკითხის წვდომაში წაგვადგება. ეს დაგვეხმარება განსხვავებული მომენტების ერთმანეთთან დაკავშირებაში და საპირისპირო პოზიციების უკეთ გაგებაში. საბოლოოდ უნდა ამოვარჩიოთ საკვან-

ძო ინფორმაცია, რომელიც მოვლენის სრულყოფილ სურათს წარმოგვიდგენს.

♦ **განმარტე, თუ რატომ და როგორ ხდება მოვლენები.** ჟურნალისტიკაში ერთ-ერთი ფუნდამენტური შეკითხვაა „რატომ?“ შესაბამისი კონტექსტის გარეშე ეს კითხვა ხშირად უპასუხოდ რჩება. ამიტომ მხოლოდ უშუალოდ მიმდინარე მოვლენებზე როდი უნდა მოვახდინოთ კონცენტრირება. უნდა შევეცადოთ, შესაბამისი კონტექსტი შევუქმნათ და განვმარტოთ ის მოვლენები, რომლებსაც ვაშუქებთ. კონტექსტის შექმნით ადამიანებს პრობლემის უკეთ გაგებაში ვეხმარებით. მისი მეშვეობით შეიქმნიან საკუთარ აზრს და შესაბამის დასკვნებსაც გამოიტანენ.

რეპორტაჟის მომზადებისას ყურადღებით დავაკვირდეთ ყველაფერს, რაც ჩვენ გარშემო ხდება და დეტალური ჩანაწერები ვაწარმოოთ: ჩავიწეროთ დიალოგის ვრცელი მონაკვეთები და არა მხოლოდ მოკლე გამონათქვამები.

♦ **ჩაინიშნე ემოციები:** მხოლოდ იმას ნუ ჩაიწერ, რაც გესმის. თუკი პიროვნება ხმას იმაღლებს და ყვირილს იწყებს, მოკლედ ჩავინიშნოთ, რამ გამოიწვია მისი ემოციური რეაქცია და რით გამოიხატა ეს. ჩავინიშნოთ ჩვენი საკუთარი ემოციებიც და სხვა ადამიანებისაც, თუკი ისინი ახლომახლო იმყოფებიან. თუკი ეს ამბის გადმოცემას წაადგება, ასევე ჩავინიშნოთ, რას ვხედავთ, რა სუნი ტრიალებს და ა. შ.

♦ **მოიპოვე ზუსტი ფაქტები და მკაფიოდ ჩამოაყალიბე,** რათა აუდიტორიამ სწორად შეიტყოს და მართებულად შეაფასოს მომხდარი. მას მერე, რაც ადამიანები სწორად ჩასწვდებიან ვითარებას, მათ ზოგჯერ თავდაპირველისაგან სრულებით განსხვავებული დასკვნები გამოაქვთ.

♦ **თავი აარიდე ექსპრესიული ლექსიკის გამოყენებას,** რომელიც ხშირად კონფლიქტის რომელიმე მხარის „დემონიზირებას“ ახდენს.

რეკომენდაციები ეთნიკური უმცირესობების თემაზე მომზადებულ რეპორტაჟებთან დაკავშირებით

როგორც ჟურნალისტს, შესაძლოა, მოგვიწიოს ჩვენი საზოგადოების შიგნით არსებულ უმცირესობებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება. ეს შეიძლება იყოს მცირე რელიგიური სექტა, რომელიც ჩვენს ადგილობრივ საზოგადოებაში არსებობს, ანდა რაოდენობრივად დიდი ეთნიკური ჯგუფი, რომელიც ძირითადი მოსახლეობის გვერდიგვერდ ცხოვრობს.

დღევანდელ სამყაროში ტრადიციული ეროვნული სახელმწიფო, სადაც კონკრეტულ ტერიტორიაზე ერთი კონკრეტული ეროვნების მოსახლეობა ცხოვრობს, იშვიათი გახდა, ხოლო მულტიეთნიკური სახელმწიფო ნორმად იქცა. ჩვენს საზოგადოებაში მრავალი მიზეზის გამო არსებობენ განსხვავებული ჯგუფები. შესაძლოა, ესენი იყვნენ: ა) ეთნიკური ან ენობრივი ჯგუფები, რომლებიც საზღვრების გაწევის ან სხვა მიზეზის გამო ჩვენს ხალხთან დამოუკიდებლად ან შესაძლოა კოლონიის უფლებებით თანაარსებობს. ამის მაგალითებია ქურთული უმცირესობა თურქეთში, ანდა რუსული უმცირესობა საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში; ბ) ის ადამიანები, რომლებიც მეზობელი ქვეყნიდან გამოიქცნენ და დევნილთა სტატუსი აქვთ, მაგალითად, პალესტინელები ლიბანში, გ) ის ადამიანები, რომელთაც თავიანთი რელიგიის გამო განსხვავებული იდენტობა ჩამოუყალიბდათ, როგორც გაჰაიებს ირანში, დ) ის ინდივიდები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში უკეთესი საცხოვრებელი პირობების იმედით ჩამოვიდნენ.

გლობალიზაცია და საზღვრებს შორის ადამიანთა მზარდი მიმოსვლა ეროვნულ სახელმწიფოს საბოლოო განადგურებით ემუქრება. მიუხედავად ამისა, ბევრი მითი დღემდე ებრძვის სინამდვილეს და მსოფლიოს ქვეყნებში მცხოვრები უმრავლე-

სობა ძალზე ხშირად ცდილობს, თავს მოახვიოს უმცირესობებს საკუთარი იდენტობა.

მიუხედავად იმისა, რომ მეოცე საუკუნემ შეგვაჩვია ტერმინ „ეთნიკური კონფლიქტის“ იმგვარად გამოყენებას, თითქოს ეს ერთი სიტყვა ყოფილიყოს, სინამდვილეში ეს ორი სიტყვა მუდამ ერთურთის გვერდიგვერდ როდი დგას. ერთიმეორის აღიარების, დიალოგისა და მოვლენებში ერთობლივი მონაწილეობით მრავალფეროვანი საზოგადოების ყველა მოქალაქე უკეთ ხვდება ერთმანეთის საზრუნავს და ამ საქმეში მედიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ამიტომაც:

- თავი ავარიდოთ სენსაციურ სათაურებს, რომლებმაც შეიძლება ამა თუ იმ პრობლემისადმი საზოგადოების გაზვიადებული ყურადღება გამოიწვიონ. სენსაციური სათაური ან წერილი შესაძლოა მომხდარის დამახინჯებული ან ცრუ სურათის შექმნის საწინდარი აღმოჩნდეს.

  „სისხლიანი შურისძიება? დღევანელი მკვლელობის დეტალები“[1] — ესაა სათაური წერილისა, ქელეხში შეკრებილ იეზიდებს შორის სასტიკი დაპირისპირების შესახებ რომ მოგვითხრობს, რომლის შედეგადაც ოთხი იეზიდი დაიღუპა, ხოლო შვიდი დაიჭრა. სათაურისა და თვით წერილის ქვეტექსტი ასეთია: იეზიდები მკვლელები არიან და უთანხმოების შემთხვევაში ერთმანეთს ხოცავენ.

- დაუშვებელია ინდივიდთა აქტივობის გადატანა მთელ ჯგუფზე. უნდა ვერიდოთ ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენელთა ისეთ მოხსენიებას, რომელიც მათ „საზოგადოების გარეთ“ მყოფ მარგინალებად წარმოაჩენს. მაგალითად, როდესაც მედია გამუდმებით ახსენებს ბოშების მიერ სამართლებრივი ნორმების დარღვევის

[1] http://newsarm.am/?p=13504&l=en&google_query_id=feb2f506e0a1b2eb-01ca849397692e0d&google_serp_position=70

ფაქტებს, ამით ის ამ ჯგუფთან დაკავშირებულ სტერეოტიპებს აღრმავებს, რომელთა მიხედვითაც, ადამიანებს მიაჩნიათ, რომ „ყველა ბოშა ქურდია“ და ა. შ. მედიაში, აგრეთვე, ცალკეული ბოშების აქტივობის მთელ პოპულაციაზე განზოგადების ტენდენცია არსებობს.

- პიროვნების ეროვნება მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ვახსენოთ, როდესაც ეს საჭიროდ მიგვაჩნია საკითხში უკეთ ჩახედვის მიზნით.
- როდესაც ეროვნებას ვახსენებთ, აუცილებელია, შევქმნათ შესაბამისი კონტექსტი, ანდა მოვიზიდოთ მეტი ინფორმაცია.

ფაქტები გაწონასწორებულად, სამართლიანად და კორექტულად გავაშუქოთ:

- მასალის შეგროვებისას, რაც შეიძლება მეტ პიროვნებას გავესაუბროთ და ჩვენს რეპორტაჟში კონფლიქტის ყველა მხარე წარმოვადგინოთ.
- ნუ დავამყარებთ რეპორტაჟს ისეთი რესპონდენტის საუბარზე, რომელსაც ვიწრო თვალთახედვა ახასიათებს. თუკი ჩვენი თანამოსაუბრე აკრიტიკებს ამა თუ იმ ეთნიკურ ჯგუფს მთლიანად, ამ ჯგუფის წარმომადგენლებსაც უნდა მივცეთ სიტყვის უფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლებელია, ცალმხრივი პროპაგანდის გატარება დაგვბრალდეს.
- რესპონდენტებთან გასაუბრების გარდა, არ უნდა დაგვავიწყდეს მითითებული ინფორმაციის გადამოწმება და იმის გააზრება, თუ რა ინტერესები შეიძლება იდგეს ამა თუ იმ გამონათქვამის უკან.
- მაქსიმალური ძალისხმევა უნდა მივახარჯოთ იმას, რომ რესპონდენტის „ფარული დღის წესრიგი“ გამოვააშკარავოთ; ვეცადოთ, აღმოვაჩინოთ საზოგადოებრივი აზრით მანიპულირების მცდელობები.

შევარჩიოთ კომუნიკაციის გახსნილი საშუალებები:

გაწონასწორებული რეპორტაჟის მოსამზადებლად კარგი იქნება, თუკი ვრცელი ჯგუფისა თუ რეგიონის წარმომადგენლებს მოვეთათბირებით. ეს თემასთან მიდგომის საუკეთესო გზას მოგვაძებნინებს.

- ძალზე სასარგებლო იქნება, თუკი იმ ჯგუფის წარმომადგენლებს გავესაუბრებით, რომელსაც ჩვენ თვითონ არ ვეკუთვნით. მათი შეხედულებების, ინტერესების, საზრუნავის გათვალისწინება ახალ იდეებსა და თემებზე მიგვითითებს.
- აუცილებელია, მოცემულ ამბავთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის წარმომადგენლებს გავესაუბროთ. ამაში ვგულისხმობთ, რომ მხოლოდ მათ კი არ უნდა გავესაუბროთ, ვინც თავს ლიდერად წარმოგვიდგენს, არამედ ყველას, ვისაც ჩვენთვის ინფორმაციის მოწოდება შეუძლია. რიგითი ადამიანების აზრი ხშირად განსხვავდება იმათი აზრისაგან, ვინც თავს ჯგუფის ინტერესების დამცველად წარმოგვიჩენს.
- თუკი ეთნიკური ჯგუფის ესა თუ ის წევრი საუბარზე უარს გვეუბნება, ეს არ უნდა მივიჩნიოთ მტრულ ჟესტად. შესაძლოა, ამ პიროვნებას არ სურდეს მის ხელთ არსებული ინფორმაციის გამჟღავნება.
- კონფლიქტის თუ დაპირისპირების გაშუქებისას აუცილებელია, მოვიცვათ ყველა მხარე და მონაწილე, თან ისიც განვმარტოთ, თუ რა მიჯნავს ერთმანეთისაგან ამ მხარეებს. მკაფიოდ ჩამოვწეროთ ყველა პუნქტი, რომელიც ჩვენ და აუდიტორიას საკითხის წვდომისათვის დაგვჭირდება. ამგვარად შევძლებთ მოვლენების ერთმანეთთან დაკავშირებას და ყველა თანამონაწილის შეხედულებებსაც გავითვალისწინებთ.

- შესაძლოა ადამიანთა ქცევისა და საუბრის საფუძველზე ცხადადაც კი დავინახოთ, რომ სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები ერთმანეთისაგან მაინცდამაინც არც განსხვავდებიან. ამგვარად მოვახერხებთ, მთელი ამბავი ისე დავინახოთ, რომ სუბიექტურობას ავცდეთ.

ნუ გავაიგივებთ ეთნიკურ უმცირესობებს საზოგადოებაში მიმდინარე უარყოფით პროცესებთან თუ ტენდენციებთან:

- განვასხვავოთ ერთიმეორისაგან ინდივიდთა ქმედებები და იმ ეთნიკური ჯგუფების ზოგადი სახე, რომელთაც ისინი მიეკუთვნებიან.
- თავი ავარიდოთ გარკვეული ფაქტებისა და ჯგუფების კრიმინალთან დაკავშირებას. როდესაც რეპორტაჟი პატიმრებს თუ დამნაშავეებს ეხება, ჯობს არ წამოვწიოთ წინ ის ფაქტი, რომ ზოგიერთი მათგანი ეთნიკურ უმცირესობას ეკუთვნის და ნურავის მივაკრავთ უარყოფით იარლიყს.

მოვთოკოთ საკუთარი ცრურწმენები. ობიექტური რეპორტაჟის მომზადებისას, უპირველესად, თემისადმი საკუთარი პოზიცია გავაანალიზოთ და შევამოწმოთ, ხომ არ შეიცავს ის ტენდენციურობას.

- მნიშვნელოვანია, რეპორტაჟში არ ჩანდეს ცალმხრივი პოზიცია. ჩვენ უნდა გავაშუქოთ ადამიანების რეალური მდგომარეობა: მათი გრძნობები, შიშები, შეხედულებები და ა. შ. მედიის როლია, წარმოაჩინოს ადამიანების ნამდვილი სახე, – თანაგრძნობით და მოუკერძოებლად.
- შესაძლოა, ამა თუ იმ მოვლენისა თუ ვითარების მართალი და სრულყოფილი სურათის დასახატად დამატებითი ინფორმაციაც დაგვჭირეს.
- მოვლენები მათ ერთობლიობაში უნდა დავინახოთ და არა კონტექსტიდან ამოღებულ ცალკეულ ფაქტებად.

- ხშირად ხდება, რომ ეთნიკური კონფლიქტები თუ უთანხმოებები ცალკეულ იზოლირებულ მოვლენადაა წარმოდგენილი. აუცილებელია, წარსული და მიმდინარე მოვლენების შესახებ მთელი ინფორმაცია მოვიძიოთ, რათა აუდიტორიას სრული სურათი წარმოვუდგინოთ.
- ზღვა მასალიდან უნდა ამოვკრიბოთ ის საკვანძო ინფორმაცია, რომელიც სრულყოფილი სურათის შექმნაში დაგვეხმარება. თუკი საქმე ეთნიკურ კონფლიქტს ეხება, მასზე ფოკუსირების გარდა, ისიც უნდა ვაჩვენოთ, თუ როგორ გავლენას ახდენს ის რიგით მოსახლეობაზე.

გამუდმებით ამოწმეთ მიღებული ინფორმაცია:

- აუცილებელია გვახსოვდეს, რომ მუშაობის ყოველ ეტაპზე უნდა გადავამოწმოთ ინფორმაცია. ეთნიკური კონფლიქტების შემთხვევაში მხარეების ემოციური მუხტი ძალზე მაღალია, აუდიტორია კი ინფორმაციას არის „დახარბებული“. თუკი მიმდინარე ინფორმაციით შევეცდებით ამ სიხარბის დაკმაყოფილებას, შეცდომებისაგან დაზღვეული ვერ ვიქნებით: შესაძლოა, გადაუმოწმებელი ინფორმაცია ან სულაც სპეკულაცია გაგვეპაროს. ამან შესაძლებელია, საზოგადოებისათვის საზიანო შედეგი გამოიწვიოს. აუდიტორიას უნდა მივცეთ იმის საშუალება, უფრო მეტი გაიგოს ინფორმაციის მიმწოდებელ პირზე, მის მოტივაციაზე, რათა შეძლოს, თავადვე შეიქმნას რეალური სურათი.

არ დავდგეთ არავის მხარეს:

- თუკი მხოლოდ ერთი მხარისაგან მიღებული ინფორმაციით ვსარგებლობთ, შეუძლებელია, ეთნიკური კონფლიქტის თუ დაძაბულობის შესახებ ობიექტური რეპორტაჟი მოვამზადოთ. „რასაც ვერ ვხედავთ, იმის გაგება გვიჭირს“. ასევე ვერ ჩავწვდებით კონფლიქტის

მიზეზებს, თუკი მხოლოდ ერთ მხარეს დავუგდებთ ყურს.

- რეპორტაჟის მომზადებისას არ უნდა ვიყოთ ტენდენციურები, ნუ გადავიხრებით რომელიმე ერთი მხარის ინტერესების დაცვისაკენ. ეს მაშინვე თვალშისაცემი გახდება და არა მხოლოდ შეუწყობს ხელს კონფლიქტის გაღრმავებას, არამედ ჩვენს მედია-საშუალებასაც მნიშვნელოვნად წაუხდენს რეპუტაციას.

რეკომენდაციები ასაკოვანი ადამიანების თემაზე მომზადებულ რეპორტაჟებთან დაკავშირებით

მრავალ ქვეყანაში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ არსებობს ხანდაზმულ ადამიანებთან დაკავშირებული უარყოფითი სტერეოტიპები. ახალი ამბები, ტელევიზია და ფილმები, როგორც წესი, გვიჩვენებენ ხანდაზმულებთან დაკავშირებულ უარყოფით წარმოდგენებს, ყურადღებას ამახვილებენ სიბერის „დამამძიმებელ“ მხარეებზე.

ტრადიციულ საზოგადოებებში, როგორც წესი, ხანდაზმულ ასაკს თავისი დაფასება ჰქონდა, სიბერე სიბრძნესთან ასოცირდებოდა, ხანდაზმული ადამიანები ბრძნული რჩევებით ოჯახსაც ეხმარებოდნენ და საზოგადოებასაც. კომუნიზმის იდეის კრახისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, სოციალური და ეკონომიკური სტრუქტურების სახეცვლასთან ერთად, პოსტსაბჭოთა ქვეყნებში უამრავი მოხუცი სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა. უმეტეს შემთხვევაში, მათი პენსია საკმარისი არ არის, ისინი ყოველგვარი იმედისა და ელემენტარული საცხოვრებელი პირობების გარეშე დარჩნენ.

ისეთი ატრიბუტები, როგორიცაა: „კომუნისტური სისტემის დამხობის მსხვერპლნი“, „უკმაყოფილო“, „ძველმოდური“, „ყველაფერი ავიწყდებათ“, „უჭირთ ახალი საქმის შესწავლა“, „ავადმყოფი“ – გავრცელებულ სტერეოტიპებს წარმოადგენენ. ამგვარი ატრიბუტების გამოყენება, ისევე როგორც ხანდაზმულ ადამიანებთან და სიბერესთან დაკავშირებით გამოყენებული უარყოფითი ლექსიკა და მოხუცთა ის სახეები, რასაც მედია წარმოგვიდგენს – როგორც წესი, სიბერისაგან მოხრილი, თავსაფრიანი დედაბრის სახით, რომელიც ქუჩაში მათხოვრობს, ანდა თავის გაჭირვებას ტირის – ეს ყველაფერი კიდევ უფრო აღრმავებს ნეგატიურ სტერეოტიპებს. იშვიათია შემთხვევები, როდესაც ხანდაზმულები წარმოდგენილნი არიან ოჯახსა და

შვილიშვილებზე მზრუნველ, მცოდნე, გამოცდილ ადამიანებად, რომლებიც სიმპათიას აღძრავენ და საკუთარი უფლებებისათვის იბრძვიან. მეტწილად, ისინი გარემოებათა პასიური მსხვერპლნი არიან.

თუმცა მედია მხოლოდ ნეგატიური სტრეოტიპების გაღრმავებით როდი აძლიერებს ხანდაზმულებთან დაკავშირებულ უსიამოვნო შთაბეჭილებას, არამედ იმით, რომ ამ თემას ნაკლებ ყურადღებას უთმობს.

ჩვენს საზოგადოებაში ხანდაზმულთა და ხანდაზმულობისადმი დამოკიდებულების შესაცვლელად უარი უნდა ეთქვას იმ მიდგომას, რომლითაც მედია ამ თემას ასახავს. ნეგატიურმა სტერეოტიპებმა ადგილი რეალისტურ პორტრეტებს უნდა დაუთმონ, რათა აუდიტორიას დავანახვოთ სიბერის სხვადასხვა მხარე, რაიმე ხარისხობრივი შეფასების გარეშე.

აი, რამდენიმე რჩევა სიბერის მრავალფეროვანი სურათის შესაქმნელად:

♦ შეიძლება ენა მძლავრ იარაღად იქცეს ჩვენი წარმოდგენების ჩამოყალიბებასა და საზოგადოებაში არსებული აზრების გაშუქებისას, რამაც შესაძლებელია, ბარიერები შეუქმნას ყველა ასაკის ადამიანს საზოგადოებაში ინტეგრირებასა და პროცესებში მონაწილეობის მიღებაში. ამიტომაც დავფიქრდეთ, რამდენად მისაღებია ისეთი სიტყვები, როგორიცაა მოხუცი, ხანდაზმული, სიბერე. თუკი უშუალოდ ამბის თხრობისათვის არ არის აუცილებელი, ჯობს ეს სიტყვები არ გამოვიყენოთ. მივმართოთ ისეთ ენას, რომელიც ასაკის ობიექტური, მრავალფეროვანი და სამართლიანი სურათის დახატვაში დაგვეხმარება.

♦ ხნიერი ადამიანები სრულიად განსხვავებულ ჯგუფებს მიეკუთვნებიან, მათ შორის არიან ქალები და მამაკაცები, შეძლებულები და ღარიბები, გონიერები და უნიჭოები, ფიზიკურად აქტიურები და ინვალიდები, განათლებულები და გაუნათლებლები, მუშები, ხელოვანები, ექიმები და ა. შ. ჟურნალისტი

ვალდებულია, გაარკვიოს, რას საქმიანობენ ეს ადამიანები და რა პრობლემებს აწყდებიან. გავესაუბროთ, გამოვკითხოთ, რა სირთულეები აქვთ – მხოლოდ ამგვარად შევქმნით იმ სრულყოფილ პორტრეტს, რომელსაც ეს ადამიანები იმსახურებენ.

♦ ასაკოვანი ადამიანების ფინანსური საზრუნავი, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ ეს არ არის ერთადერთი თემა, რომლის შესახებაც ღირს რეპორტაჟის მომზადება: უმეტესი მათგანი დაკავებულია ცალკეული ან ყველა ამ საქმიანობით: ისინი ეხმარებიან ოჯახს, ზრუნავენ შვილიშვილებზე თუ მეზობლის ბავშვებზე, ამა თუ იმ სახით შეაქვთ წვლილი საზოგადოების კეთილდღეობაში, დადიან თეატრებსა თუ კინოში, კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებს, ზოგჯერ გამორჩეულ რამეებსაც აკეთებენ და თითქმის მუდამ ადევნებენ თვალს პრესაში გაშუქებულ ახალ ამბებს. ასაკოვან ადამიანებს, როგორც წესი, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება აქვთ და პრესაში მათი ხშირი გამოყვანა საშუალებას მოგვცემს, თავიდან ავიცილოთ ტრადიციული სტერეოტიპები.

ძირითადი რეკომენდაციები მედიისათვის საზოგადოებაში მრავალფეროვნების განსავითარებლად

უნდა გავაცნობიეროთ ის ზეგავლენა, რომელსაც ჟურნალისტის რეპორტაჟი და ამ რეპორტაჟის მანერა ინდივიდებსა და სხვადასხვა სოციალურ ჯგუფზე ახდენს.

- დავამყაროთ და რეგულარულად შევინარჩუნოთ ურთიერთობა საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლებთან.
- გავაცნობიეროთ ჩვენი როლი, როგორც მათ შორის ურთიერთგაგების დამამყარებელი მისიისა. სხვათა შორის, ეს იმ ბარიერების მოშლით გახდება შესაძლებელი, მათ ყოველდღიურ კომუნიკაციაში რომ არსებობს, ანდა სრულიად შეწყვეტილი კომუნიკაციის აღდგენით. ჟურნალისტის როლი ბევრად აღემატება უბრალოდ ახალი ამბების მთხრობელისას.
- საზოგადოებრივი მრავალფეროვნების გაშუქება ამ საზოგადოებაში მომხდარი მოვლენების ასახვით არ შემოიფარგლება. გლობალიზაციამ და სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეთა შორის მზარდმა კომუნიკაციამ კიდევ უფრო გააძლიერა მედიაში მრავალფეროვნების გაშუქების მნიშვნელობა. შეიძლება, ერთ ქვეყანაში მომხდარმა მოვლენებმა სერიოზული შედეგები იქონიოს სხვა ქვეყანაზე. ამგვარად, შესაძლოა ერთი ქვეყნის პრობლემა მეორე ქვეყნისა თუ ხალხის პრობლემად იქცეს.
- როდესაც საზოგადოებრივ მრავალფეროვნებასთან დაკავშირებული თემის გაშუქება გვიწევს, გულდასმით უნდა დავუკვირდეთ იმას, რა კუთხით იქნება უმჯობესი მისი წარმოჩენა. თუ ამგვარი სიუჟეტი გვაქვს მოსამზადებელი, აუცილებელია, წარსულის გამოცდილება

გავიაზროთ და ყველა შესაძლო ვარიანტი ავწონ-დავწონოთ.

- ჟურნალისტთა უმრავლესობას იმ ფაქტების საკუთარი ახსნა აქვს, რომლის შესახებაც აუდიტორიას უამბობს და შესაძლებელია, ეს საკუთარი აზრი „ამბის ნაწილადაც“ აქციოს. აუცილებელია, გვახსოვდეს: თუკი შესაძლებელია ამის თავიდან აცილება, არავითარ შემთხვევაში არ უნდა წარმოვაჩინოთ საზოგადოებრივი მრავალფეროვნება, როგორც რაღაც უარყოფითი.
- ვეცადოთ სხვისი აზრის გათვალისწინებას.
- გამუდმებით ვამოწმოთ ფაქტები, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა საქმე ინფორმაციის არასანდო წყაროებთან ანდა ისეთ მოვლენებთან გვაქვს, რომლებიც შესაძლოა კრიზისის საწინდარი გახდეს.
- აუცილებელია, ასევე წინასწარ გავთვალოთ ჩვენი რეპორტაჟის შესაძლო შედეგები და აუდიტორიის რეაქცია. ამისათვის კარგად უნდა ვიცნობდეთ იმ კონტექსტს, რომელშიც მოვლენები მიმდინარეობს, საკმარისი ინფორმაცია მოვიძიოთ პრობლემის ისტორიის თაობაზე და მომავალში ვითარების შესაძლო შეცვლის შესახებ.
- შეძლებისდაგვარად ვერიდოთ ჯგუფების განზოგადებას. როდესაც ინდივიდებსა და მათს ქმედებას ვაშუქებთ – სულ ერთია, დადებითია ეს ქმედებები თუ უარყოფითი, ეს უნდა განვიხილოთ, როგორც ინდივიდუალური საკითხი, და არა ისეთი რამ, რაც მთელი ჯგუფისთვისაა დამახასიათებელი.
- პროფესიონალური ჟურნალისტიკა გამუდმებით ითხოვს ჟურნალისტისაგან, გაიუმჯობესოს პროფესიული უნარები „შუამავლის“ ფუნქციისა, რომელსაც ის ადამიანებსა და იმ სინამდვილეს შორის ასრულებს, რომელშიც ვცხოვრობთ.

იმ აუცილებელი შეკითხვების სია, რომლებიც ჟურნალისტს უნდა ახსოვდეს საზოგადოებრივი მრავალფეროვნების თემაზე რეპორტაჟის მომზადებისას

- მოიცავს თუ არა ჩემი რეპორტაჟი ჯგუფის ყველა ასპექტს – დადებითსაც და უარყოფითსაც?
- თუ ვაცნობიერებ იმ გავლენას, რომელსაც ჩემი რეპორტაჟი აუდიტორიაზე ახდენს? ხომ არ ვაღრმავებ უკვე არსებულ სტერეოტიპებს? ინტერვიუს დროს ვცდილობ თუ არა მთავარი სიუჟეტისაგან დამოუკიდებელი, მრავალფეროვანი პერსპექტივების მოძებნას?
- თუ ვახასიათებ ადამიანებს ადეკვატური და მისაღები სიტყვებით, ამავე დროს, პატივს თუ ვცემ ჩემი რედაქტორის ოფისსა და ჩემი პროფესიის ეთიკურ სტანდარტებს?
- რეგულარულად თუ ვაფართოებ ჩემ მიერ გამოკითხულთა წრეს?
- საზოგადოებაში არსებულ განსხვავებულობებზე თუ ვმსჯელობ და ვეკითხები თუ არა კოლეგებსა და რედაქტორებს აზრს ამასთან დაკავშირებით?
- შევისწავლი თუ არა განსხვავებულ ჯგუფებს სტერეოტიპების თავიდან ასაცილებლად?
- ვაცნობიერებ თუ არა ჯგუფებში მოქმედ ფარულ დღის წესრიგებსა და დაყოფებს, რათა უნებლიეთ არ მოვექცე რომელიმე ძალის გავლენის ქვეშ?
- ვეთათბირები თუ არა კოლეგებს, როდესაც ჩემი რეპორტაჟის კილო მაეჭვებს?

გამოყენებული წყაროები:

Castañeda, Laura; Campbell, Shannon B: News and Sexuality: Media Portraits of Diversity; Sage (2006)

Getting the facts right: Reporting ethnicity and religion; Article 19; Retrieved 14 October, 2016 https://www.article19.org/resources.php/resource/3093/en/getting-the-facts-right:-reporting-ethnicity-and-religion

George, Cherian: Reporting diversity: media, social norms and public opinion; Retrieved 07 July 2017 http://www.mediaasia.info/reporting-diversity-media-social-norms-and-politics/

Glossary of hate speech in the media of Armenia and Azerbaijan, Baku-Yerevan 2008-2013; Retrieved 11 August, 2017 http://epfarmenia.am/wp-content/uploads/2014/06/glossary_eng-1.pdf

Hoewe, Jennifer e.al.: A Pedagogical Response to the Coverage of Islam: A Wiki-Based Best Practices Document for Reporting on Muslims and Islam, Retrieved 15 April 2016, http://www.muslimsubjects.org/journalislam/files/2010/09/AEJMC_Best_Practices.pdf

Journalism, media and the challenge of human rights reporting; International Council on Human Rights Policy (2002).

Kovach, B., Rosenstiel, T.: The Elements of Journalism. New York: Three Rivers Press (2007)

Mapping the global Muslim population. Pew Forum on Religion & Public Life. Pew Research Center (2009). Retrieved 15 April 2016 http://pewforum.org/docs/?DocID=450

Reporting Diversity: How journalists can contribute to community cohesion. Society of Editors & Media Trust. (n.d.) Retrieved 07 June 2017 www.societyofeditors.co.uk/userfiles/file/Reporting%20Diversity.pdf

Sarajlic, Eldar: Media and Diversity in Post-Conflict Countries – Retrieved 10 June 2017 http://www.annalindhfoundation.org/report/media-and-diversity-post-conflict-countries-eldar-sarajlic

Study on Homophobia, Transphobia and Discrimination on Grounds of Sexual Orientation and Gender Identity, Sociological Report: Georgia; The Danish Institute for Human Rights, Retrieved 16 July 2017 https://www.coe.int/t/Commissioner/Source/LGBT/GeorgiaSociological_E.pdf

Temenugova, Aleksandra, e. al: Guidelines on ethical Journalism and Quality reporting; Verein Freies Radio Wien (2015)

Troshanovski, Marko: Representation of Minorities in the New Media, Analysis of Professional Journalistic Standards in New Media Practices, Skopje (2016)

Tsereteli, Tamar: Nationalism and Representation of Gays and Lesbians in Post -Soviet Georgia: Retrieved 14 July 2017 http://minority.ge/wp-content/uploads/2010/12/Tsereteli-Tamar-nationalism-and-the-representation-of-gl-in-georgia.pdf

Triandafyllidou, Anna: Addressing Cultural, Ethnic & Religious Diversity Challenges in Europe. A Comparative Overview of 15 European Countries, Florence (2012)

Tuller, David: Reporting diversity Manual (Balkan) (2002)

White, Aidan: Ethical Journalism and Human Rights, Strasbourg (2011).

სტამბა დამანი
Print House Damani

თბილისი, პ. ჩანჩიბაძის ქუჩა 6
☎ 214 34 01, 577 33 38 57
stamba.damani@gmail.com
f სტამბა დამანი / Print House Damani

ISBN 978-9941-27-630-9

Friedrich Naumann STIFTUNG FÜR DIE FREIHEIT

IDEM
The Institute for Democracy, Media and Cultural Exchange e.V.

Auswärtiges Amt

Freiheit.org
fnfsc.fnst.org